

ინოვაციური ეკონომიკა და
მართვა

INNOVATIVE ECONOMICS AND
MANAGEMENT

ტომი 7, №1 (2020)

Volume 7, №1 (2020)

ბათუმი 2020

BATUMI 2020

UDC (უაკ) 050:{33+338.24}

ი - 603

მთავარი რედაქტორი: ბადრი გეჩბაია

ეკონომიკის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სარედაქციო კოლეგია:

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: ვლადიმერ პაპავა, ავთანდილ სილაგაძე, ნოდარ ჭითანავა, ანზორ აბრალავა, ვლადიმერ ლლონტი, რეზო მანველიძე, ევგენი ბარათაშვილი, რამაზ აბესაძე, თეიმურაზ ხარაიშვილი, ლამარა ქოქიაური, გივი ბედიაშვილი, ელგუჯა მექვაბიშვილი, თეიმურაზ შენგელია, მიხეილ ჯიბუტი, ნიკოლოზ ჩიხლაძე, თეიმურაზ ბაბუნაშვილი, სმმდ, რეზო ჯაბნიძე.

აკადემიური დოქტორები, პროფესორები: გელა მამულაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), პაატა არომიძე (პასუხისმგებელი რედაქტორი), პარმენ ხვედელიძე, ქეთევან გოლეტიანი, ერეკლე პირველი, ნათელა წიკლაშვილი, ასიე ცინცაძე, ვახტანგ ჭარაია, ზურაბ მუშკუდიანი, ანზორ დევაძე, გულნაზ ერქომაიშვილი, რომან მამულაძე, ნინო ფარესაშვილი, ნანა შონია, ნათია მიქელთაძე, თენგიზ აფხაზავა მანანა მოისწრაფიშვილი, რუსუდან ქუთათელაძე, გიორგი ღვთაძე, იოსებ არჩვაძე, გოჩა თუთბერიძე, გივი ბაქრაძე, როსტომ ბერიძე.

EDITOR-IN-CHIEF: Badri Gechbaia

Doctor of Economics, Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University, Academician of Georgian Academy of Business Sciences.

Doctor of Economic Sciences, Professors: Vladimer Papava, Avtandil Silagadze, Nodar Chitanava, Anzor Abralava, Vladimer Glonti, Rezo Manvelidze, Evgeni Baratashvili, Ramaz Abesadze, Eter Kharashvili, Lamara Qoqiauri, Givi bedianashvili, Elguja Mekvabishvili, Teimuraz Shengelia, Mikheil Jibuti, Nikoloz Chikhladze, Teimuraz Babunashvili, Rezo Jabnidze.

PhD, professors: Gela Mamuladze (Deputy Editor), Paata Aroshidze (Responsible Editor), Parmen Khvedelidze, Ketevan Goletiani, Erekle Pirveli, Natela Tsiklashvili, Asie Tsintsadze, Vakhtang Charaia, Zurab Mushkudiani, Anzor Devadze, Gulnaz Erqomaishvili, Roman Mamuladze, Nino Paresashvili, Nana Shonia, Natia Mikeltadze, Tengiz Apkhazava, Manana Moistsrapishvili, Rusudan Kutateladze, Giorgi Gvartadze, Ioseb Archvadze, Gocha Tutberidze, Givi Bakradze, Rostom Beridze

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

სერგეი შკარლეთი - უკრაინის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, პროფესორი; ნიკოლაი კიზიმ - უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; ვიქტორ კოვალ - კიევის ვაჭრობისა და ეკონომიკის ეროვნული უნივერსიტეტის ოდესის ვაჭრობისა და ეკონომიკის ინსტიტუტი, პროფესორი; მარიანა პეტროვა - ბულგარეთის წმინდა კირილესა და წმინდა მეტოდიას უნივერსიტეტის პროფესორი; რიჩარდ პუკალა - ბრონისლავ მარკვიჩის სახელმწიფო ტექნოლოგიისა და ეკონომიკის სკოლის რექტორის მოადგილე, პოლონეთი; ალექსანდრ ლევიჩენკო - ცენტრალური უკრაინის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი; ოლგა პროკოპენკო - ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი; ლუსია ვილცეკოვა - ბრატისლავას კომენიუსის უნივერსიტეტის პროფესორი; ნატალია ვლოვენკო - უკრაინის ბიოლოგიისა და გარემოსდაცვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; ლუდმილა შიმანოვსკა-დიანიჩ - პოლტავას ვაჭრობისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის პროფესორი; გალინა კუზმენკო - ცენტრალური უკრაინის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი; ვიქტორია ხაუსტოვა - ხარკოვის ეროვნული ეკონომიკური უნივერსიტეტის პროფესორი; ელენა გრიშნოვა - ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი; ნატალია შალიმოვა - ცენტრალური უკრაინის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი; ლილია ვეის - ლუბლიანას ბიზნესის სკოლის პროფესორი; ნამიგ ისაევი - ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ბაქო; ოლგა რუდენკო - ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორი; იაცეკ ბინდა - ბიელსკო-ბიალას ფინანსებისა და სამართლის სკოლის პროფესორი, პოლონეთი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD:

SERHIY SHKARLET - Minister of Education and Science of Ukraine, Professor; MYKOLA KYZYM – Academician of National Academy of Sciences of Ukraine; VIKTOR KOVAL - Odessa Institute of Trade and Economics of Kyiv National University of Trade and Economics, Professor; MARIANA PETROVA - St. Cyril and St. Methodius University, Professor, Veliko Turnovo, Bulgaria; RYSZARD PUKAŁA - Bronislaw Markiewicz State Higher School of Technology and Economics, Professor, Warsaw, Poland; OLEKSANDR LEVCHENKO - Central Ukrainian National Technical University, Professor, Deputy Rector for Science; OLHA PROKOPENKO - Tallinn University of Technology, Professor; LUCIA VILCEKOVA - Comenius University in Bratislava , assistant professor; NATALIA VDOVENKO - National University of Life and Environmental Sciences of Ukraine, Professor; LYUDMILA SHYMANOVSKA-DIANICH - Poltava University of Economics and Trade, Professor; HALYNA KUZMENKO, Central Ukrainian National Technical University, Associate Professor; VIKTORIIA KHAUSTOVA - Kharkiv National University of Economics, Associate Professor; OLENA GRISHNOVA - Taras Shevchenko National University of Kyiv, Professor; NATALIYA SHALIMOVA - Central Ukrainian National Technical University, Professor; LIDIJA WEIS - Ljubljana School of Business, Professor; NAMIG ISAYEV - Doctor of Economics, Baku; OLHA RUDENKO - Chernihiv National University of Technology, Associate Professor; JACEK BINDA - Bielsko-Biala School of Finance and Law, Professor.



ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი.

National Institute of Economic Research and Batumi Navigation Teaching University Refereed and Peer – Reviewed scientific journal.

ISSN 2449-2418 (ბეჭდური) P.

ISSN 2449-2604 (ელექტრონული) O.

სარჩევი

CONTENTS

რამინ ცინარიძე, ნინო მჟავანაძე - ბიზნეს-გარემოს რეგიონული ასპექტები:
კონკურენტუნარიანობა და შესაძლებლობები5
**RAMIN TSINARIDZE, NINO MZHAVANADZE - REGIONAL ASPECTS OF BUSINESS ENVIRONMENT:
COMPETITIVENESS AND OPPORTUNITIES6**

რეზო მანველიძე, ია მესხიძე, ლაშა მანველიძე, ირაკლი ბერიძე -
ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და ბიზნესის შეფასების მხარდამჭერი სტრატეგიები 15
**REZO MANVELIDZE, IA MESKHIDZE, LASHA MANVELIDZE, IRAKLI BERIDZE - SOME ASPECTS OF THE EVALUATION
PROCESS AND THE PECULIARITIES OF THE BUSINESS EVALUATION16**

ირმა ჩხაიძე - ცოდნის მენეჯმენტი, როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის შექმნის საფუძველი.23
IRMA CHKHAIDZE - KNOWLEDGE MANAGEMENT AS THE BASIS OF CREATION OF THE PUBLIC WELFARE23

მეგი სურმანიძე, ტურისტების სოციალური მიმღებლობა ბათუმის მოსახლეობაში29
MEGGIE SURMANIDZE - SOCIAL RECEPTIVENESS OF TOURISTS IN BATUMI POPULATION30

ლამარა ქოქიაური - ინოვაციური ეკოსისტემა - ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.....41
LAMARA QOQIAURI - INNOVATIVE ECOSYSTEM - AN IMPORTANT FACTOR FOR ECONOMIC GROWTH42

თეიმურაზ ყანდაშვილი, ლელა კოჭლამაზაშვილი, თამარ ქობლიანიძე,
საქართველოს და ირანის სავაჭრო- ეკონომიკური ურთიერთობები50
**TEIMURAZ KANDASHVILI, LELA KOCHLAMAZASHVILI, TAMAR KOBLIANIDZE –
TRADE AND ECONOMIC RELATIONS BETWEEN GEORGIA AND IRAN51**

ეკატერინე გულუა - ადამიანური რესურსების მართვის ტენდენციები,
გამოწვევები და ორიენტირები.....56
EKATERINE GULUA - TRENDS, CHALLENGES AND ORIENTATIONS OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT.....57

ეკატერინე გულუა - უმაღლეს საგანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური
პერსონალის შერჩევის თავისებურებები.....73
EKATERINE GULUA - PECULIARITIES OF ACADEMIC STAFF SELECTION AT HIGHER EDUCATION INSTITUTIONS.....74

ბადრი გეჩბაია - რეცენზია მონოგრაფიაზე93
BADRI GECHBAIA - Monograph Review93

JEL: M21, E3

DOI: [10.46361/2449-2604.7.1.2020.1-10](https://doi.org/10.46361/2449-2604.7.1.2020.1-10)

ბიზნეს-გარემოს რეგიონული ასპექტები: კონკურენტუნარიანობა და შესაძლებლობები

რამინ ცინარიძე,

ბიზნესის მართვის დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის
ბათუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის

ასისტენტ-პროფესორი

ბათუმი, საქართველო

E-mail: ramin.tsinaridze@bsu.edu.ge

orcid.org/0000-0002-0444-9740

ნინო მყავანაძე

ბიზნესის ადმინისტრირების

მაგისტრი,

წმიდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო

უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

E-mail: niniamzhavanadze@gmail.com

orcid.org/0000-0001-7578-4733

შემოსულია რედაქციში:

იანვარი, 2020

რეცენზირებულია:

თებერვალი, 2020

შესავალი. თანამედროვე სამყაროში ბიზნესს უდიდესი ადგილი უჭირავს, ვინაიდან მსოფლიო ეკონომიკა სწორედ ბიზნესზე დგას და ლოგიკურია, რომ ბიზნესი გახდა არამარტო კეთილდღეობისა და ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი და აუცილებელი წყარო, არამედ შესწავლის საგანი, რომელიც პროგრესით, სირთულეებითა და მუდმივი სიახლეებით ხასიათდება.

კვლევის ძირითადი მიზანია ბიზნესის განვითარების რეგიონული ასპექტების, კონკურენტუნარიანობისა და არსებული პოტენციალის, დარგთა თავისებურებებისა და მოქმედი ფაქტორების გამოვლენა-გაანალიზება, ბიზნეს-სექტორის განვითარების ტენდენციების მიმოხილვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე.

საკვლევი თემა ღირებული და საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ როგორც ქვეყანა, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა კერძო სექტორის ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა, ბიზნესი ჯერ კიდევ მუდმივ ცვლილებებთან შეგუების ეტაპს გადის და დინამიკის გარკვეულ ეტაპზე დგას (მაგ. საკანონმდებლო ცვლილებები, გლობალური კონკურენცია, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა და ა.შ.). აქედან გამომდინარე, საკითხი აქტუალური და მნიშვნელოვანია.

სწორედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს ბიზნესის დაწყებისათვის ერთ-ერთ ხელსაყრელ გარემო პირობების მქონე ადგილს, სადაც ამკარადაა გამოკვეთილი ბიზნეს საქმიანობის უპირატესობები. ბიზნესის განვითარების ტენდენციები და დღევანდელი მდგომარეობით არსებული ვითარება რეგიონში, იძლევა შესაძლებლობას უფრო მეტი ინტერესი და ყურადღება იქნას გამოჩენილი ინვესტიციების მოზიდვაზე და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე. მართალია რიგი საკითხები, რომლებიც ეხება არსებულ ბიზნეს-გარემოს და მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საკმაოდ გამოკვლეულია, თუმცა ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის შესწავლილი, შესაბამისად ბიბლიოგრაფიაში მიმოხილული ნაშრომები იძლევა შესაძლებლობას მიმოვიხილოთ აჭარის რეგიონის ზოგადი ბიზნეს-გარემო, გამოკვლევით გარკვეული პრობლემები და ტენდენციები.

კვლევისას გამოყენებულია თვისებრივი, რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები. მონაცემების სიზუსტისათვის ასევე გამოყენებულ იქნა შეგროვებითი და შედარებითი მეთოდები. მოცემული კვლევის ბოლოს შემუშავებულია სათანადო დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული ბიზნეს-გარემო,

რეგიონული ასპექტები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რეგიონული პოტენციალი, ბიზნესის განვითარების ტენდენციები.

JEL: M21, E3

DOI: [10.46361/2449-2604.7.1.2020.1-10](https://doi.org/10.46361/2449-2604.7.1.2020.1-10)

**REGIONAL ASPECTS OF BUSINESS
ENVIRONMENT: COMPETITIVENESS AND
OPPORTUNITIES**

RAMIN TSINARIDZE

Doctor of Business Administration,
Batumi Shota Rustaveli State
University, Assistant Professor
Batumi, Georgia
E-mail: ramin.tsinaridze@bsu.edu.ge
orcid.org/0000-0002-0444-9740

Nino Mzhavanadze,

Master degree of Business
Administration,
St. Tbel Abuserisdze Teaching
University
Batumi, Georgia
E-mail: niniamzhavanadze@gmail.com
[orcid.org 0000-0001-7578-4733](https://orcid.org/0000-0001-7578-4733)

Edited by:

January, 2020

Reviewed by:

February, 2020

Business has the greatest place in the modern world, because the world economy is exactly stand on business. It is logical, that business has become not only an important and indispensable source of prosperity and economic development, but also the subject of study, which is characterized by progress, difficulties and constant innovations.

The main purpose of the study is to Identify and analyze the regional aspects of business development, competitiveness and existing potential, industry features and operating factors, overview of business sector development trends in the Autonomous Republic of Adjara.

The research topic is valuable and interesting in the sense that, both the country and the Autonomous Republic of Adjara are still in the process of developing the private sector, business is still undergoing constant change and is at a certain stage of dynamics (E.g. legislative changes, global competition, technological backwardness, etc.). Therefore, the issue is actually and important.

Autonomous Republic of Adjara is one of the favorable environment for starting a business, there are clearly identified the advantages of doing business. Business development trends and the current situation in the region allow for greater interest and attention to attracting prominent investments and economic development of the region. Although a number of issues related to the current business environment and current economic processes in the Adjara region are quite well researched, however it has not yet been fully studied. Accordingly, the articles reviewed in the bibliography provide an opportunity to review the general business environment of the Autonomous Republic of Adjara, identify some problems and trends.

Were used Qualitative, quantitative and statistical methods in this study. For data accuracy, were also used collective and comparative methods. Relevant conclusions and recommendations are developed at the end of this study.

Keywords: Regional Business Environment, Regional Aspects, Autonomous Republic of Adjara, Regional Potential, Business Development Tendencies.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე სამყარო მუდმივად ესწრაფვის სიახლეებს, ყოველთვის ხდება ცვლილებები ჩვენს ირგვლივ. დღევანდელი მსოფლიო განვითარების მაღალ საფეხურზეა ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, რადგანაც ეს უკანასკნელი უმთავრეს როლს ასრულებს ადამიანთა ცხოვრებაში, მათ ყოველდღიურ საქმიანობაში და გადაწყვეტილებების მიღებაში. მიუხედავად ამისა, კვლავ საჭიროა განვითარების არსებული ტემპის შენარჩუნება და მზაობა იმისთვის, რომ მუდმივად ვეძებოთ სიახლეები და ხელი შევუწყოთ ეკონომიკის განვითარების მაღალ საფეხურზე აყვანას.

მსოფლიო ეკონომიკის წინსვლაში დიდი როლი უკავია ბიზნესს. ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე სწორედ ბიზნესის განვითარებაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, ყველა ხელისუფლების უპირობო ამოცანაა ხელი შეუწყოს საკუთარ ქვეყანაში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, რაც ასევე უზრუნველყოფს თითოეული ჩვენგანის ცხოვრების პირობების ცვლილებას უკეთესობისკენ.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აქტივობიდან გამომდინარე განვიხილოთ ბიზნეს-გარემოს რეგიონული ასპექტები, მიმოვიხილოთ მისი ფორმირება-განვითარების ტენდენციები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, როგორც რეგიონის მაგალითზე. ეს რეგიონი ქვეყანაში მოწინავე და სპეციფიური რეგიონია ბიზნესის თვალსაზრისით, რომელიც ერთ-ერთი მსხვილი საინვესტიციო ობიექტია და ბიზნესის განვითარების დიდი შესაძლებლობები აქვს სხვადასხვა მიმართულებებით. შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე სფერო: ტურიზმი, სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი, სამშენებლო ბიზნესი, ენერჯეტიკა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარება, თუმცა პრობლემებს აქაც ბლომად ვაწყდებით. უფრო კონკრეტულად კი ბიზნესის შეუფერხებლად განვითარებისთვის როგორ სრულყოფილად არ უნდა იქნას შესწავლილი საარსებო გარემო, შეუძლებელია ბოლომდე მივაღწიოთ დაცულობის განცდას, ვინაიდან ყოველთვის არსებობს მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი საფრთხეები.

ბიზნეს-სექტორის საფუძვლიანი ანალიზი ეხმარება დაინტერესებულ პირებს შეაფასონ ბაზარზე არსებული მდგომარეობა. იქნება ეს სექტორის შესახებ დეტალური ინფორმა-

ციის გარკვევა, ტენდენციებისა და ზრდის შესაძლებლობების ანალიზი, თუ კონკურენციის, ფასებისა და მიწოდების ჯაჭვის შესწავლა. ბაზრის სხვადასხვა ასპექტების შესახებ ცოდნა საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირებს მიიღონ მეტად ინფორმირებული და ამის შედეგად ნაკლებად რისკიანი გადაწყვეტილებები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მაკროეკონომიკური მონაცემების მიხედვით, წარმოადგენს საქართველოს მასშტაბით ყველაზე სწრაფად განვითარებად რეგიონს, რაც განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, არსებული ბიზნეს-კლიმატით და სხვა რიგი უპირატესობებით, რომელიც რეგიონს გააჩნია.

რეგიონში ბიზნესის განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს მისი კონკურენტუნარიანობა ქვეყნის სხვა რეგიონებთან შედარებით და არსებულ რესურსებზე წვდომის შესაძლებლობები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონკურენტუნარიანობას განაპირობებს არაერთი ფაქტორი:

- ბათუმის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის გეოსტრატეგიული და ბუნებრივი უპირატესობა;
- საერთაშორისო აეროპორტის არსებობა რეგიონში;
- რეგიონის ხელმისაწვდომობა რკინიგზით, საავტომობილო მაგისტრალით, საზღვაო და საჰაერო გზებით;
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე (ბათუმის პორტზე) გამავალი ევროპა-კავკასია-აზიის კორიდორის TRACECA-ის ნაწილი;
- ტურისტული რესურსების მრავალფეროვნება, უნიკალურობა და აშ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაში, როგორც რეგიონში არსებული ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები გვიჩვენებს რეგიონის ეკონომიკის ტენდენციებს და ასევე ეკონომიკური საქმიანობის ძირითად ვექტორებს. ბიზნესის ეკონომიკური აქტიურობის ინდიკატორებმა 2018 წელს შეადგინა:

- ✓ ბრუნვის მაჩვენებელი 5 695.0 მლნ ლარი;
- ✓ პროდუქციის გამოშვება 3 532.9 მლნ ლარი;
- ✓ ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 70 292 კაცი;
- ✓ საშუალო თვიური ანაზღაურება 928.7 ლარი [2].

ქვემოთ მოცემულ №1 ცხრილში წარმოდგენილია რეგიონის ბიზნეს სექტორის მაჩვენებლები 2014-2018 წლებში, ხოლო №2 ცხრილში წარმოდგენილია 2017 წლის ბიზნეს

სექტორის ძირითადი მაჩვენებლები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მუნიციპალიტეტების მიხედვით.

ცხრილი №1. ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლების დინამიკა

	2014	2015	2016	2017	2018
ბრუნვა (მლნ. ლარი)	3 424.1	4 155.5	4 755.8	5 176.9	5 695.0
პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)	2 043.4	2 426.3	3 079.6	3 155.0	3 532.9
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	54 655	57 555	66 597	70 087	70 292
დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	644.9	821.5	845.4	848.5	928.7

ცხრილი №2. ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება და დასაქმება მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2017 წელი

მუნიციპალიტეტი	ბრუნვა (მლნ. ლარი)	პროდუქციის გამოშვება (მლნ. ლარი)	დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება (ლარი)
ქ. ბათუმი	4 555.8	2 757.5	58 153	870.6
ქედის მუნიციპალიტეტი	22.0	14.5	705	293.8
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	309.0	187.5	7 088	645.7
შუახევის მუნიციპალიტეტი	105.2	98.9	621	2 345.6
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	166.8	82.4	2 971	651.9
ხულოს მუნიციპალიტეტი	18.0	14.1	549	706.5

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა გამორჩეულია აქ არსებული როგორც ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნებით, ისე ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობითაც. გარდა ამისა, რეგიონში ბიზნეს სექტორის დაინტერესების ობიექტს წარმოადგენს:

- ბიომრავალფეროვნების ნაირსახეობა, დაცული ტერიტორიები (ნაკრძალები და ეროვნული პარკები); რეგიონის მტკნარი მიწისქვეშა წყლები და მისი საპროგნოზო-საექსპლუატაციო მარაგი;
- მნიშვნელოვანი ჰიდრორესურსების, მინერალური და სუფთა წყლის მარაგი;
- საშენ მასალათა წარმოებისათვის სასარგებლო წიაღისეულის მარაგების არსებობა;
- რეგიონში არსებული სამკურნალო-სარეკრეაციო ზონები და განვითარების მაღალი პოტენციალი;
- ზღვის და მთის კურორტების რესურსების ხელმისაწვდომობა და ა. შ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, როგორც რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელია ინვესტიციების ზრდა როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექ-

ტორის მხრიდან. მნიშვნელოვანია საინვესტიციო პროგრამების შემუშავება სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც მიმართული იქნება არამარტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, არამედ, საჭიროა ინვესტიციების რაოდენობა გაიზარდოს მაღალტექნოლოგიურ დარგებსა და ადამიანურ ინტელექტში, რაც წარმოადგენს რეგიონის გრძელვადიანი განვითარებისათვის აუცილებელ პირობას. ამასთან, საჭიროა საინვესტიციო საქმიანობისათვის ხელსაყრელი გარემო-პირობების შექმნა, შენარჩუნება და განვითარებისათვის გარკვეული სტრატეგიების შემუშავება, რაც ასევე აუცილებელი კომპონენტია რეგიონის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

ეკონომიკური საქმიანობის სახეებიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში წამყვანი ადგილი 2018 წლის მონაცემებით ვაჭრობას, მშენებლობას, დამამუშავებელ მრეწველობას, ტრანსპორტსა და დასაწყობებას და ტურიზმის სექტორს უკავია. ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა რეგიონის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში: ენერგეტიკა, მშენებლობა,

ტურიზმი, მრეწველობა, ინფრასტრუქტურა და მომსახურების სხვადასხვა სფერო. დარგებს შორის მოზიდული ინვესტიციათა რაოდენობის მიხედვით ყველაზე მეტი წილი ენერჯეტიკასა და ტურიზმის სექტორზე მო-

დის, რაც განპირობებულია რეგიონის ჰიდრო-რესურსებისა და ტურისტული პოტენციალით.

ცხრილი №3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიზნეს სექტორის მაჩვენებლები სექტორების მიხედვით

დამამუშავებელი მრეწველობა					
	2014	2015	2016	2017	2018
ბრუნვა (მლნ ლარი)	323.5	348.8	381.0	466.0	492.1
პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	295.1	326	397.7	448.5	475.6
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	7 720	7 882	8 862	9 248	9 068
საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	487.2	511.8	537.8	576.6	667.3
დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	82.1	111.2	113.9	135.8	144.5
ვაჭრობა*					
	2014	2015	2016	2017	2018
ბრუნვა (მლნ ლარი)	1 613.6	1 682.0	1 972.9	2 066.2	2 337.6
პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	246.9	314.8	346.0	400.7	453.4
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	10 741	12 360	13 464	14 057	14 607
საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	468.5	505.2	547.1	553.7	676.7
დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	175.6	196.5	237.1	285.6	304.9
ტურიზმი*					
	2014	2015	2016	2017	2018
ბრუნვა (მლნ ლარი)	134.1	170.9	225.3	243.1	267.6
პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	137.2	170	246.1	247.6	270
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	6 002	6 082	6 510	7 327	7 654
საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	362.3	553.1	644.7	675.8	711.3
დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	59.4	87.2	130.4	135.6	139.7
ტრანსპორტი და დასაწყობება					
	2014	2015	2016	2017	2018
ბრუნვა (მლნ ლარი)	267.6	349.0	407.7	356.9	437.1
პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	269.7	357.3	418.8	347.5	492.8
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	4,115	4,216	5,853	7,670	7,826
საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	1,032.8	1,238.9	1,163.6	1,176.3	1,134.2
მშენებლობა					
	2014	2015	2016	2017	2018
ბრუნვა (მლნ ლარი)	672.0	815.6	984.2	899.5	883.2
პროდუქციის გამოშვება (მლნ ლარი)	750.6	858.5	1,127.8	1,105.1	1,152.1
დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)	10,276	10,494	10,273	9,777	10,217
საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება (ლარი)	930.6	1,537.6	1,653.2	1,414.3	1,527.0
დამატებული ღირებულება (მლნ ლარი)	274.9	353.9	403.8	398.7	582.5

* საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი.

* განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები.

წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ბიზნეს სექტორის მაჩვენებლები სექტორების მიხედვით

დღეის მდგომარეობით, არამარტო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის, არამედ მთელი საქართველოს ეკონომიკური აღმავლობისა და სტაბილურობისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და ხელშეწყობა ისეთი მნიშვნელოვანი დარგების აღორძინებისათვის, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ქვეყნისათვის, რათა ქვეყანა განვითარდეს და და-


ვიკავოთ ეკონომიკურად ძლიერ სახელ-მწიფოთა რეიტინგში სასურველი პოზიცია. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ქვეყნისა თუ მისი ცალკეული რეგიონის საინვესტიციო გარემო იყოს სტაბილური და მიმზიდველი ინვესტირებისათვის [1, 186].

უცხოელი ინვესტორებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მიმზიდველი რეგიონია. იგი, როგორც რეგიონი გეოსტრატეგი-

ულ სივრცეში ჩართულობით და ეკონომიკური მდებარეობით, ზღვისპირა ზოლში განვითარებული ინფრასტრუქტურით, საზღვრისპირა განლაგების ფაქტორით და ა.შ. მიმზიდველია დაინტერესებული ბიზნესმენებისთვის.

ის. შესაბამისად, რეგიონში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2013 წლიდან (83 137 500 ლარი) 2017 წელს (193 797 300 ლარი) 2,3-ჯერ გაიზარდა.

დიაგრამა №1. ინვესტიციების დინამიკა 2013-2017 წლებში



შენიშვნა: დიაგრამა შედგენილია ჩვენ მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით

ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის მონაცემების თანახმად, რეგიონში ინვესტიციების რაოდენობამ წინა წელთან შედარებით 5.5-ჯერ იკლო და 35 073 700 აშშ დოლარი შეადგინა.

მართალია ქვეყანაში ფინანსური სისტემა კარგად არის განვითარებული, ასევე მეწარმეობის განვითარებას გარკვეულწილად ხელს უწყობს სახელმწიფო პროგრამები, მაგრამ რეგიონში ფინანსურ რესურსებზე წვდომასთან დაკავშირებით ისევ გარკვეული დაბრკოლებებია. ფაქტია, რომ კომპანიების დიდი ნაწილი სარგებლობს მოძველებული ტექნოლოგიებით და წარმოების მცირე შესაძლებლობები გააჩნიათ. ისინი იშვიათად თანამშრომლობენ უცხოურ კომპანიებთან. ასეთი თანამშრომლობის მაგალითები ძირითადად გვაქვს ტურიზმისა და ტრანსპორტის მიმართულებით და ასევე დამამუშავებელ დარგებში. ამასთან კომპანიებს არ აქვთ შესაბამისი გამოცდილება მარკეტინგში და უჭირთ, როგორც ბაზარზე არსებული მოთხოვნის შესაბამისი პროდუქციის წარმოება, ისე ახალ ბაზრებზე გასვლა. ამ ყველაფრის მიზეზი კი არის ბიზნეს განათლების დაბალი დონე და ასევე მუშახელის დაბალი კვალიფიკაცია.


ბის დაბალი დონე და ასევე მუშახელის დაბალი კვალიფიკაცია.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ახალი სექტორების განვითარებას გარკვეულწილად აფერხებს ბიზნესის ხელშემწყობი ინსტიტუტებისა და პროგრამების სიმცირე. აუცილებელია ბიზნეს-ინკუბაციის პროცესის გამოყენება განვითარებისათვის, ასევე საკონსულტაციო, საინფორმაციო, ფინანსური, ადმინისტრაციული და ტექნოლოგიური მხარდაჭერა. საჭიროა, ისიც რომ მხარდაჭერა შესაძლებელი იყოს მთელი რეგიონის მასშტაბით.

2018 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიზნეს სექტორში ფუნქციონირებდა 13 778 საწარმო, მათ შორის კი 99% ახალი მეთოდოლოგიით განსაზღვრული მცირე ზომის საწარმო, საშუალო ზომის საწარმო 1.1 %-ია, მხოლოდ 0.2% იყო მსხვილი საწარმო.

2018 წელს რეგიონში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილ მოქმედ საწარმოთა რაოდენობამ 1 764 შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელს აღემატება 28%-ით. 2014-2018 წლებში კი აღნიშნული მაჩვენებლის ზრდამ საშუალოდ 18% შეადგინა [4].

დიაგრამა №2. უცხოური კაპიტალის მონაწილეობით შექმნილ მოქმედ საწარმოთა რაოდენობა



წყარო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები

რეგიონში შესწავლილია ჰიდროლოგიური მონაცემები, რომლის თანახმად, მცირე მდინარეების არსებული ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისების შემთხვევაში, შესაძლებელია 10.5 ათასი კვტ/სთ საერთო სიმძლავრის 40-მდე მინი ჰესის განთავსება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით რეგიონში 8 ჰიდროელექტრო სადგური მოქმედებს. დღეისთვის კი შენდება/დამუშავების პროცესშია 5 ჰესი: შუახევჰესი, კორომხეთი-ჰესი, სხალთაჰესი, ოქროპილაურიჰესი და გოგინაურიჰესი.

რეგიონის მდებარეობა იძლევა განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების საშუალებასაც. არსებული კვლევების თანახმად, შესაძლებელია ქარის რესურსები გამოყენებული იქნას ენერგეტიკული მიზნებისათვის. ქარის სადგურებისთვის პერსპექტიულ ადგილებად მოიაზრება მდინარე ჭოროხის მიმდებარე ტერიტორია, სადაც შესაძლებელია აშენდეს 50 მგვტ. სიმძლავრის ქარის ელექტრო სადგური 120 მლნ.კვტ/საათი წლიური გამომუშავება [5].

რეგიონში უკვე აპრობირებულია ალტერნატიული ენერჯის წყაროდ მზის ენერჯის გამოყენება. ასევე კარგი შესაძლებლობაა, მეცხოველეობის განვითარების გამო, ბიოგაზის გამოყენება. ამის დიდი პოტენციალი აქვს მალაღმთიან აჭარას. არსებული ალტერნატიული ენერჯო პოტენციალის გამოყენება კი თავისთავად ხელს შეუწყობს მოსახლეობის მიერ

მოხმარებულ ელექტროენერჯიაზე დანახარჯთა შემცირებას.

რეგიონში ელექტროენერჯის, აირისა და წყლის წარმოებისა და განაწილების სექტორს დასაქმებაში, მთლიანი დამატებული ღირებულების შექმნაში და პროდუქციის გამოშვებაში მნიშვნელოვანი ადგილი არ უკავია, მაგრამ მოხმარებელთა გაზიფიცირება, ელექტროენერჯის წარმოებას და წყლით მომარაგებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია შემდგომში ეკონომიკის ზრდა-განვითარებაში და მოსახლების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.


2018 წლის მონაცემებით ქვეყნის მასშტაბით რეგიონების მიხედვით პროდუქციის მთლიან გამოშვებაში ქ. თბილისი ლიდერობს და მას მოყვება სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- თბილისი – 64.2 პროცენტი;
- აჭარის ა.რ. – 8.5 პროცენტი;
- ქვემო ქართლი – 7.7 პროცენტი;
- იმერეთი – 6.1 პროცენტი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.8 პროცენტი.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს რეგიონების (ქ. თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვასა და პროდუქციის გამოშვებას:

რაც შეეხება დასაქმებულთა რაოდენობას, რეგიონების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება:

დიაგრამა №3. რეგიონების მიხედვით ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საწარმოთა საქმიანობის შედეგები 2018

- თბილისი – 64.1 პროცენტი;
- აჭარის ა.რ. – 9.7 პროცენტი;
- იმერეთი – 6.8 პროცენტი;
- ქვემო ქართლი – 5.6 პროცენტი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთი – 3.8 პროცენტი.

არსებული სტატისტიკა, მონაცემები და კვლევები ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ საჭიროა ბიზნესის განვითარებისათვის გარკვეული ხელშემწყობი პირობების შექმნა, რაშიც დიდი როლი სახელმწიფოს აკისრია. ნებისმიერი სახელმწიფოს სწორი ეკონომიკური პოლიტიკა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის სუვერენიტეტის განმტკიცებაში, სოციალური პრობლემების მოგვარებაში და ზოგადად სახელმწიფოს გრძელვადიანი პერსპექტივების განსაზღვრაში. ნიშანდობლივია, რომ როგორც არ ვარგა ბიზნესის გადამეტებული რეგულირება, ისე - თვითდინებაზე მიშვება. გადამეტებული რეგულირების შემთხვევაში ადგილი ექნება ეკონომიკის განვითარების შეფერხებას და მარეგულირებელ ორგანოებში კორუფციის ზრდას, ხოლო თვითდინებაზე მიშვების შემთხვევაში ადგილი ექნება სრულ განუკითხაობას და როგორც მომხმარებლების ისე ინვესტორების უფლებების დარღვევებს.

მსოფლიო ეკონომიკური რეფორმების კვლევებმა ცხადყო, რომ ყველაზე ეფექტური ამ ორ მიდგომას შორის „ოქროს შუალედი“-ს პოვნაა.

უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ქვეყნებისთვის და მათ შორის საქართველოსთვისაც, უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს

მხრიდან ბიზნესისათვის გარკვეული ბიძგის მიცემა და სასტარტო მხარდაჭერა. თუმცა ეს გარემოება სულაც არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო მოგვევლინოს ბიზნესის კონკურენტის როლში, პირიქით, სახელმწიფომ უნდა განავითაროს ქვეყანაში ის მიმართულებები და სექტორები, რომლის განვითარების შესაძლებლობაც ბიზნესის წარმომადგენლებს არ გააჩნიათ. ასევე აუცილებელია ბიზნესის სტიმულირების მიზნით ჩანერგოს საგადასახადო (ფისკალური) მოტივაციის მექანიზმი.

ამრიგად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, როგორც რეგიონი მაკროეკონომიკური მონაცემების მიხედვით, წარმოადგენს საქართველოს მასშტაბით ყველაზე სწრაფად განვითარებად რეგიონს, რაც განპირობებულია მისი გეოგრაფიული მდებარეობით, არსებული ბიზნეს კლიმატით და სხვა რიგი უპირატესობებით, რომელიც რეგიონს გააჩნია.

ბიზნესის განვითარება რეგიონების მიხედვით დამოკიდებულია მთელ რიგ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა ერთობლიობაზე. ამ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ეკონომიკური რესურსების - მაგალითად - ბუნებრივი, საინვესტიციო, ადამიანისეული რესურსების არსებობა და განაწილება. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბიზნესის განვითარება სწორედ ამ ფაქტორთა მოქმედების შედეგს წარმოადგენს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობისა და რიგი სუბიექტური ხასიათის ფაქტორები

რების გამო ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე ეს ფაქტორები ერთნაირად არ მოქმედებდნენ.

არსებობს სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც საერთოა საქართველოს მასშტაბით და ასევე არსებობს ფაქტორები, რომლებიც მხოლოდ ამ რეგიონისთვისაა დამახასიათებელი. თითოეული ფაქტორის გათვალისწინება ნებისმიერი ბიზნეს სუბიექტისათვის აუცილებელია ბიზნესის დაწყების თავდაპირველი ეტაპებიდან.

ბიზნესის სფეროში შემდეგი მნიშვნელოვანი პრიორიტეტები იკვეთება:

- ნებისმიერი პოსტსოციალისტური ქვეყნისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის განვითარებას. ბიზნესის განვითარება აუცილებელია კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად, რაზეც დამოკიდებულია საქართველოში საბაზრო რეფორმების ეფექტურობა და წარმატებები;
- განვითარებადი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, აუცილებელია სახელმწიფოს მიერ ხელშეწყობა ბიზნეს-სექტორის განვითარებისათვის და კანონმდებლობის დახვეწის აუცილებლობა. ბიზნესის და განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა არის სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი საერთო ეროვნული მიზნის მისაღწევად;
- აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებობს პოტენციური და შესაბამისი რესურსი ბიზნესის სხვადასხვა სფეროს განვითარებისათვის.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება რომ სწორედ, სამეწარმეო საქმიანობაში იქმნება ეროვნული სიმდიდრის ძირითადი მასა და იგი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის წყაროს წარმოადგენს.

რეგიონში ბიზნეს-სექტორის განვითარებისათვის და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა:

ა) სახელმწიფოსა და ადგილობრივი კერძო ბიზნესის ურთიერთქმედების მეტი კოორდინაცია;

ბ) ადგილობრივი ბუნებრივი და ადამიანისეული რესურსების გამოყენების ეფექტურობის ზრდა;

გ) ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საინვესტიციო მიმზიდველობის უზრუნველყოფა;

დ) ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა;

ე) კანონმდებლობის გამარტივება, საგადასახადო შეღავათების დაწესება, თანადაფინანსების მექანიზმის დახვეწა, ექსპორტის წახალისება და სუბსიდირება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს ბიზნესის დაწყებისათვის ერთ-ერთ ხელსაყრელ გარემო-პირობების მქონე ადგილს, სადაც ამკარადაა გამოკვეთილი ბიზნეს-საქმიანობის რიგი უპირატესობები. ამასთან, ბიზნესის განვითარების ტენდენციები და დღევანდელი მდგომარეობით არსებული ვითარება რეგიონში იძლევა შესაძლებლობას უფრო მეტი ინტერესი და ყურადღება იქნას გამოჩენილი რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე და ინვესტიციების მოზიდვაზე.

ეკონომიკის რეგიონულ ჭრილში სწრაფი და მდგრადი განვითარება უპირველესად დამოკიდებულია ბიზნეს-გარემოზე, მის ოპტიმიზაციაზე და შესაბამისად იმაზე, რამდენად სწრაფად და ეფექტურად უზრუნველყოფს თავისუფალი ბიზნესი სამუშაო ადგილების შექმნას, რაც საბოლოოდ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ სტაბილურობის გარანტი ხდება.

რეგიონის მდებარეობა, მრავალმხრივი მიმზიდველობა და დარგების მრავალფეროვნება ცხადყოფს რომ ბიზნეს სუბიექტებისთვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საინტერესო და პერსპექტიულია ბიზნეს საქმიანობისათვის. თუმცა, ქვეყანაში რეგიონის პოზიციის შესანარჩუნებლად და შავი ზღვის აუზის ქვეყნების მასშტაბით კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, დამამუშავებელი მრეწველობის, ენერჯეტიკის და სხვა ძირითად სექტორებთან ერთად უნდა მოხდეს ბიზნესის სხვა სექტორებშიც სპეციალიზაცია. ამავე დროს, უნდა გაუმჯობესდეს განათლების ხარისხი და მოხდეს ბაზრის საჭიროებებთან ადაპტაცია. მართალია კარგი განათლება ზრდის დასაქმების შესაძლებლობას მაგრამ იგი არ არის დასაქმების გარანტია. ამიტომ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მაქსიმალური მხარდაჭერა.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] ცინარიძე რ., რეგიონული საინვესტიციო პროცესების რეგულირების საფინანსო-ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2013წ.;
- [2] <http://www.adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=102039&gid=5#.XQ3U49X7TIU> - ბიზნეს სექტორის ძირითადი მაჩვენებლები, 11 ნოემბერი, 2018წ.;
- [3] <http://www.adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=102038&gid=5#.Xi7WNGgzaUk> - ბიზნეს სექტორის მაჩვენებლები სექტორების მიხედვით, 30 ოქტომბერი, 2019წ.;
- [4] geostat.ge/index.php/ka/single-news/1675/satsarmota-sakmianobis-shedegebi-2018-tseli -საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საწარმოთა საქმიანობის შედეგები 2018წ.;
- [5] http://energy.gov.ge/investor.php?id_pages=23&lang=geo - საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო.

JEL: M5DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.7.1.2020.11-18>**ეკონომიკის კონკურენტუნარიანობისა და ბიზნესის შეფასების მხარდამჭერი სტრატეგიები****რეზო მანველიძე,**

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი,
საქართველო, ბათუმი
manvelidze.revaz@bsu.edu.ge
orcid.org/0000-0001-9937-2020

ია მესხიძე,

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ia.meskhidze@bsu.edu.ge
orcid.org/0000-0003-1694-122X

ლაშა მანველიძე,

ბათუმის შოთა რუსთაველის
ახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების
სადოქტორო პროგრამის
დოქტორანტი
lashamanvelidze@gmail.com
orcid.org/0000-0001-5631-3127

ირაკლი ბერიძე,

ბათუმის შოთა რუსთაველის
ახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის ადმინისტრირების
სადოქტორო პროგრამის
დოქტორანტი
i.beridze@yahoo.com
orcid.org/0000-0002-4804-7364

შემოსულია რედაქციში:

დეკემბერი, 2019

რეცენზირებულია:

იანვარი, 2020

გლობალიზაციის აქტიური და მასშტაბური პროცესი იწვევს ცვლილებებს საბაზრო მექანიზმების, დარგების მწარმოებულობის, პროპორციულობის ეფექტიანობის ძირითად ინდიკატორებში. ბუნებრივია აღნიშნული მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მაჩვენებელზე. ამიტომაც აუცილებელია ეს პროცესი წარიმართოს ევოლუციის გზით და გამოიყოს მისი რეალიზაციის სამეურნეო ეტაპი.

ქვეყნის ეკონომიკაში, სოციალურ თუ სხვა სფეროებში არსებული ვითარების გამოსწორება მოითხოვს ქვეყნის სამეწარმეო პოტენციალის შეფასებას. მისი დაჩქარება დღის წესრიგში დგას საწარმოო ძალებისა და სიმძლავრეების აქტიური ტრანსფორმაციის პროცესის ოპტიმიზაციის აუცილებლობაც. აღნიშნულის მიღწევას ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია ბიზნესის (საწარმოთა) სრულყოფილი შეფასება, რომელიც სამწუხაროდ ჩვენს ქვეყანაში არაერთი ხარვეზით ხასიათდება, ან საერთოდ უგულვებელყოფილია.

აღსანიშნავია ისიც, რომ ბიზნესის ღირებულების შეფასების მართვის სტრატეგიისა და ფინანსური მენეჯმენტისგან განცალკევებით განხილვა არ იძლევა მთლიანი ანალიზის შესახებ სრულყოფილ სურათს. სწორედ ამ პრობლემების გაანალიზებას შევეცდებით ჩვენს მიერ წარმოდგენილ სტატიაში, სადაც განხილული იქნება ბიზნესის ღირებულების შეფასების მიდგომები და მეთოდები, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, გამოყენების და განვითარების შესაძლებლობები.

სხვადასხვა ქვეყანაში ბიზნესის კონკრეტული გარემოებებიდან, განსაკუთრებით შეფასების მიზნებიდან გამომდინარე ღირებულების შეფასების სხვადასხვა მიდგომები გამოიყენება, მათ შორის აღიარებულია შემოსავლითი, ხარჯვითი და საბაზრო მიდგომები და თითოეული მიდგომა შესაბამის მეთოდებს გამოიყენებს.

ყველა მეთოდი და მიდგომა ერთნაირად არ გამოიყენება, ასევე მათთვის დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნიათ და მხოლოდ მეთოდის მიზნობრივი შერჩევა კონკრეტულ სიტუაციაში ბიზნესის ღირებულების შეფასების სწორ შესაძლებლობას იძლევა. სწორედ შერჩევის პირობებსა და შესაბამის გარემოებებზე იქნება წარმოდგენილ სტატიაში ძირითადი აქცენტები.

სტატიაში ასევე განხილულია ბიზნესის ღირებულების შეფასების კლასიკური მეთოდების გამოყენების პრობლემები განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებენ კონკრეტული წინააღმდეგობები, რომლებიც, ჩვენის აზრით, მნიშვნელოვან დაბრკოლებებს ქმნიან აღნიშნული საქმიანობის განხორციელებაში.

ჩვენის აზრით არაერთი ტენდენცია, რომელიც იწვევს ეროვნული მეურნეობის მაჩვენებლების უსაფუძვლო გაუთვალისწინებელ ცვლილებას, ძირითადად გამოწვეულია ხარვეზებით, რომელიც ახასიათებს საწარმოო ძალებისა და სიმძლავრეების არაპროპორციული ტრანსფორმაციის პროცესს რეალური ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში.

პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს პრიორიტეტულ დარგებში ბიზნესის (საწარმოთა) შეფასების პროცესის გამოყენების მცირე მასშტაბი. ხშირ შემთხვევაში საერთოდ უგულვებელყოფა. მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეს პროცესები სათანადო სიხშირით და მასშტაბით წარმატებით გამოიყენება პროგნოზირებას, ყიდვა-გაყიდვას, რეორგანიზაციას, დაზღვევას, საინვესტიციო პროექტების შედგენის და სხვა სტადიებზე.

საკვანძო სიტყვები: რეგიონული ბიზნეს-გარემო, რეგიონული ასპექტები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, რეგიონული პოტენციალი, ბიზნესის განვითარების ტენდენციები.

© ინოვაციური ეკონომიკა და მართვა, 2020

ISSN 2449-2604

JEL: M5

DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.7.1.2020.11-18>

SOME ASPECTS OF THE EVALUATION PROCESS AND THE PECULIARITIES OF THE BUSINESS EVALUATION

Rezo Manvelidze,

Professor at Batumi Shota Rustaveli
state University
Georgia, Batumi
manvelidze.revaz@bsu.edu.ge
orcid.org/0000-0001-9937-2020

Ia Meskhidze,

Associate Professor at Batumi Shota
Rustaveli State University
Georgia, Batumi
ia.meskhidze@bsu.edu.ge
orcid.org/0000-0003-1694-122X

Lasha Manvelidze,

PhD student at Batumi Shota Rustaveli
State University
Georgia, Batumi
lashamanvelidze@gmail.com
orcid.org/0000-0001-5631-3127

Irakli Beridze,

PhD student at Batumi Shota Rustaveli
State University
Georgia, Batumi
i.beridze@yahoo.com
orcid.org/0000-0002-4804-7364

Edited by:

Received, December, 2019

Accepted, January, 2020

The active and large-scale process of globalization causes changes in the key indicators of market mechanisms, productivity, and proportionality. Naturally, this has a significant impact on the competitiveness of the economy. That is why it is necessary that this process is guided by evolution and to be detached the economic stage of its realization.

All country needs assessment of entrepreneur potential as it is an essential aspect of improvement of social and other fields in every country's economy. One of the main mechanisms for achieving this is the ideal assessment of the enterprises that are unfortunately characterized by many flaws or in many cases are ignored at all in our country.

In different countries according to the different circumstances, especially based on purposes of appraisal, they use individual approaches of valuation. These approaches are, for example, income, expenditure and market approaches and each of them uses relevant methodologies. Not all the methodologies and approaches are used in the same way. They have their advantages and disadvantages. The problem of classical methods of business valuation in developing countries is also discussed in the article, also for Georgia, where they still exist specific obstacles, which, in our opinion, are the obstructions in this field.

In our opinion, several trends cause an unforeseen change of national farming indicators, is mainly caused by characteristic flaws of production forces and Disproportionate transformation process in almost all areas of the real economy. On the first place, the process of business valuation in prioritized fields has a small scale or is completely ignored. International experience reveals that those processes are successfully used in prognosis, purchasing-selling, reorganization, insuring, investing and other stages.

Keywords: Business value, Value appraisal, Business market value, Valuation activities, Regional economy, Regional finance, Investment programs.

The active and large-scale globalization process in many countries highlights the need to enhance the degree of flexibility of market mechanisms for structural change in the national economy. In developed countries, however, some sectors, including the food industry, will change significantly in scale, productivity, proportions, market segments, efficiency dynamics, and infrastructure relationships. Today, when more active global factors on the national economy to improve the competitiveness of industries, at least the minimum standards are given the maintenance processes, the agenda of the necessity of activating the directions that will strengthen and focused structural adaptation, stability, stimulating principles of market development tools. These issues will become even more pressing at the regional and municipal levels, where the institutions are similar to those of the central authority whose functions cannot even be delegated.

We believe that the country's internal, especially international, competitiveness should be driven by evolution and be distinguished by several stages. between them:

First, the effective use of local resource potential with the involvement of modern technical means. It is important to develop policies promoting traditional and innovative (industrial) sectors, with Eromell primarily focusing on protecting the internal market through an import substitution strategy. (Assuming quotas and tariffs) different approaches to tax policy shaping the investment regulatory environment and more.

Second, to support resource transformation to accelerate the development of export sectors, to encourage the introduction of international standard approaches, to support the development of relevant infrastructures.

Third, knowledge-based use of innovative technologies to support the development of economic models. Prioritize competitive advantages in investment, material provision, infrastructure development, innovative labour regulation and more.

Fourth, encouraging innovation, export potential, managerial, organizational and structural excellence, supporting the development of TNCs, cooperatives, clusters and other proven structures. Stimulation of green economy, ecosystem recovery, optimization of urban processes, development of high technology sectors.

Fifth, Moderate government policy implementation at state, regional, municipal level.

In many countries, valuation activities in modern economic science are highly valued, based on solid theoretical foundations. Business analysis and evaluation are one of the branches of economics as an academic discipline. It is a combination of economic theory and economic practice that originates in the historical past. The theoretical foundations of modern valuation work developed in parallel with the development of economic theory and are reflected in the works of such scientists and economists like Adam Smith (1723-1817), John Stuart Mill (1860-1875), Thomas Malthus (1766-1834), Leon Walras (1863). -1910) Alfred Marshall (1842-1924) Irving Fisher (1867-1947), John Maynard Keynes (1883-1946) and others.

In 1776, Adam Smith, in his fundamental work, "The Study of the Nature and Cause of the Wealth of Peoples," laid the groundwork for "Theory of Labor Value," which explored the essence of labour productivity growth, its role, and its importance in value creation. In 1890, Alfred Marshall for the first time in his widely accepted work „The Principles of Economic Science“ first introduced the most complete and convincing theory of value theory, which in effect overturned values. The core of this theory is that it has defined price as the magnitude of demand-supply function.

Economic theory has become modern in the fundamental work of **John Maynard Keynes „The General Theory of Employment, Benefits, and Money“** (1936). Keynes defended the idea of interfering with the functioning of the government's economy to mitigate the negative effects of business cycles, economic resources and depression. His ideas formed the basis of a new school of economic thought known as Keynesian Economics. Around the same time, a broad segmentation of the "**value theory**" began to meet the requirements of various economic objects: assets, commercial interests, various forms of ownership, and business studies. Some economist-appraisers focus on developing a real estate value analysis and valuation system. Their work was finally summarized in a 1951 scientific paper, „**The Real Estate Appraisal**“, first published by "**The Real Estate Appraisers**" of the time. In 1934 **Benjamin Grassima** (Columbia Business School Professor 1894-1976) and **David Dodd** (University of Pennsylvania Professor 1895-

1988) work: “**Securities Analysis**”, which deals with business valuation issues.

In 1937, **James Bombright** (professor of finance at Columbia University) published a paper entitled “**Property Evaluation**”. The author has attempted to unite the value theories of economist-appraisers and financial economists. He saw that there was one common element in these theories, namely that the analyst assesses economic property rights in both cases, that is, in other words, he assesses the legal rights package and the economic advantages derived from owning the property (even though Whether this property is real or moving Whether material or non-material).

Evolutionary work has also undergone the evolution of economic theory and has been segmented into different directions. In 1981, the “**International Asset Committee**”, which was renamed in 1994 and was named the “**International Standards Committee**” (**IVSC**). **IVSC** - is an international organization that unites national institutes of assessors in more than 50 countries around the world. The main objective of the **IVSC** is to co-ordinate the national standards of different countries and to develop a system of evaluation standards that is acceptable and effective for all member states of international cooperation. [1]

Currently, the following areas of practice are considered in valuation practice: real estate valuation, movable property valuation, intangible asset valuation, intellectual property valuation and business valuation.

There is a great practice of valuation in developed countries. In the UK, for example, assessment standards were first established in the 1970s. Professional organizations, such as the „**Royal Society of Certified Real Estate Professionals**“, have been instrumental in the evolution of this activity. In 1976, the society issued the so-called “**The Red Book**”. In 1980 “**The White Book**”. In 1996, these books were united and created a unified “**Basis for Evaluation**”. It included several practical provisions that are actively used by professional evaluators. There are

currently 18 assessment bases in the standards of this country, of which 13 are actively used. 1) Comparative method, 2) investment method, 3) best use method, 4) profit method and 5) replacement cost method. [3]

There are many Valuable societies in the US. E.g. Three are distinguished: 1) American Institute of Real Estate Appraisers; 2) The Society of Real Estate Appraisers; 3) American Society of Appraisers. Here, one of the modern concepts of equity valuation has become the measurement of surplus-value, thus actively incorporating its rate - economically surplus-value - into the valuation process of companies. The method of evaluating entrepreneurial activity is also called "Balanced Set". This integrates intangible assets such as customer satisfaction with specific services, loyalty, effective staff training and more.

Similar methods are actively used in other developed countries.

The study of value-added activities and the use of advanced experience have begun in many developing countries. In this direction, both scientific-research and practical testing processes in Georgian economic science, business circles, relevant state and public organizations are actively pursued. The concept of enterprise and business, the essence of entrepreneurial and non-entrepreneurial economic activity, the categories of market and market infrastructure, the difference between the subjects and objects of valuation, and more have been acquired today.

ტურისტებსა და ადგილობრივებს შორის ურთიერთობისა და დამოკიდებულების განსაზღვრის საკითხში, არსებითად მნიშვნელოვანია რელიგიური ფაქტორი. ის, თუ რა რელიგიის მიმდევრები არიან მხარეები, მოსახლეობა და ტურისტები. რელიგია არის ის მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც უდიდეს ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ინდივიდების ყოველდღიურ ცხოვრებაზე,

აქტივობებზე, პროფესიულ არჩევანზე, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე. ამიტომ, მისი ამ თემის განხილვისას იგნორირება, შეუძლებელია. ტურისტსა და მასპინძელს შორის ურთიერთგაგებისა და დამოკიდებულების პოზიტიურ წარმართვას ხელს უწყობს მხარეთა რელიგიისა და მრწამსის ერთგვაროვნება.

ზოგ ხალხში, რელიგია მიმაგრებულია კულტურასა და ადათ-წესებს, რელიგიური რწმენა კი გადაზრდილია მოქმედებებში, რომლებსაც ჩვენ რიტუალის სახელით ვიცნობთ. რიტუალები უცვლელად ხორციელდება ხანდახან ხელახალი გააზრებისა და რწმენის შეგრძნებების გაცოცხლების გარეშე. მსგავსი ტრადიციის ხალხებს მიეკუთვნება ქართველი ერიც. ეს ავტომატიზმი და რეფლექსიის ნაკლებობა რწმენის გააზრებაში, შეიძლება ჩავთვალოთ ნაკლებანებად. გამომდინარე იქედან, რომ რელიგია კულტურის ნაწილად მიიჩნევა, ის უფრო მეტად მორგებულია კონკრეტულ წესებს, დაუწერელ საზოგადოებრივ კანონებს. რელიგიის შეურაცხყოფა ისეთივე შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ქართული ტრადიციის და წესის შეურაცხყოფა. ადგილობრივების რწმენით, თუ ისინი თავგამოდებით, ნებისმიერ ფასაც არ დაიცავენ საკუთარ რელიგიას ან კულტურას დაკარგავენ მათ; იგივე სააზროვნო მოცემულობაში, მართლმადიდებლობა გაიდევალებულია, არ არსებობს სხვა, მასზე ჭეშმარიტი და სწორი რელიგია სხვა დანარჩენი აბსურდია.

ის, რაც ქრისტიანობაში მიუღებელია, მიუღებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სხვა ქართველისთვისაც. მაგალითად ჩაცმის გარკვეული სტილი, სამოსი, რომლის ტარებაც რელიგიურად ცოდვაა, შეიძლება საზოგადოებრ-

ივ გაგებაშიც მიუღებელი იყოს. გართობის გარკვეული გზები, ნივთების ტარება, ასევე ეკლესიურად შეიძლება ნიშნავდეს ცოდვას. ვფიქრობთ, მიუღებლობის კონტექსტში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს უცხოელის ცხოვრების სტილი, ის რაც მისთვის ჩვეული მოვლენაა, ხოლო ქართველისთვის ძალიან უცხო და მიუღებელი, ყოველდღიური ჩარჩოებიდან ამოვარდნილი. შემდგომში მინდა ფართოდ განვიხილო ცხოვრების სტილი, რითაც განსხვავდებიან ადგილობრივები და ტურისტები, უცხო ქვეყნის მოქალაქეები ერთმანეთისგან-რა არის ერთი და მეორე მხარისთვის ნორმა? რა შედის თითოეულის ყოველდღიურ ან ყოველკვირეულ აქტივობებში? ეს შედარება უკეთ დაგვანახებს განსხვავებებს, რომლებიც კულტურის, რელიგიის ან რაიმე სხვა ფაქტორითაა დანერგილი და განპირობებული.

ზოგადად რელიგიისა და საზოგადოების ურთერთმიმართება არაერთხელ გამხდარა სამსჯელო თემა მოაზროვნეებისა და ფილოსოფოსებისთვის. გერმანელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი მაქს ვებერი, მიიჩნევდა, რომ საზოგადოების ყოფის ცხოვრებასა და ეკონომიკურ მდგომარეობაზე რელიგია ახდენს გავლენას. ფრანგი სოციოლოგი და ფილოსოფოსი ემილ დიურკემი კი თავის ნაშრომში „რელიგიური ცხოვრების ელემენტარული ფორმები“, მიიჩნევდა რომ რელიგია საზოგადოების ფუნქციონალური ინტეგრაციის საშუალებაა. იგი მონაწილეობს საზოგადოების წევრების სოციალური როლის, ფუნქციის, ადგილის განსაზღვრასა და პოვნაში.

შედარებისთვის, საინტერესოა განხილვა სტატიისა, სადაც ქრისტიანობისა და ისლამის შედარება ხდება მთავარი იდეოლოგიისა და ნიშნების მიხედვით. ამ შედარების მოყვანა, ვფიქრობ საჭიროა რელიგიათა შორის იმ განსხვავებების წარმოსაჩენად, რის გამოც შეიძლება იყოს მხარეებისთვის ერთმანეთი მიუღებელი, მოუვიდეთ კამათი ან უთანხმოება, ან ამომრავლებდეთ ერთმანეთისადმი სიძულვილი. ერთ-ერთი მთავარი საკითხია წარმოდგენა ღმერთზე. ამ სტატიის შედარების მიზანი ავტორისათვის იყო რწმენათა შორის განსხვავებების წარმოჩენა.

1) ამტკიცებს თუ არა სხვადასხვა ეროვნების ადამიანების ერთმანეთისგან განსხვავებულობას კულტურული რიტუალები, წესები და აღქმები? აღიარებს თუ არა რელიგია ერთ ღმერთს?

• ქრისტიანობა-ამტკიცებს რწმენას ერთი ღმერთისადმი „ერთი ღმერთი, ერთი რწმენა, ერთი ნათლობა“.

• ისლამი - აქ იგივე იდეოლოგია არსებობს. ისლამიც მოწმობს ერთ ღმერთზე „არ არის მეტი ღმერთი ალლაჰის გარდა“.

2. გამორიცხავს თუ არა რელიგია მრავალღმერთიანობას და კერპთაყვანისმცემლობას?

• ქრისტიანობა - გამორიცხავს კერპთაყვანისმცემლობას და მრავალღმერთიანობას.

• ისლამი - ასევე გამორიცხავს ორივე მათგანს.

1) თვლის თუ არა რელიგია ღმერთს არამატერიალურ სულად?

• ქრისტიანობა-თვლის, რომ ღმერთი რომ არის არამატერიალური სული.

• ისლამი - არ აღიარებს ღმერთს არამატერიალურ სულად. რელიგია გამორიცხავს, რომ სულის გაგება შეიძლება უარყოფდეს ღმერთთან განყენებულად ყოფნას.

2) ხსნის თუ არა რელიგია ღმერთის შინაგან ბუნებას?

• ქრისტიანობა-ეთანხმება და ამბობს, რომ რელიგია ნივთის შინაგანი სამყაროსწარმოა.

• ისლამი - ისლამი ამბობს, რომ ღმერთის შინაგანი ბუნება რჩება ამოუხსენელი.

3) თვლის თუ არა რელიგია, რომ ღმერთი არის ამოუხსენელი?

• ქრისტიანობა-ამბობს, რომ ღმერთი არის სიყვარული.

• ისლამი-არა.

4) თვლის თუ არა რელიგია, რომ ღმერთი ფლობს სიკეთეს და სიწმინდეს?

• ქრისტიანობა-დიახ.

• ისლამი-არა [8].

ამ და სხვა მრავალ კითხვაზე, რომელიც რელიგიას უკავშირდება, იყო მოცემული პასუხი. ზოგი მათგანი ერთმანეთს დაემთხვა, ზოგი კი არა, რაც ნიშნავს იმას, რომ რელიგიურ მსოფლმხედველობაშიც და მის დოქტრინაშიც ბევრი განსხვავებაა. განსხვავებები ინაცვლებს ცხოვრებაში, მიმდევართა ყოველდღიურობაში, მათ ქცევებში, არჩევანში, წესებში და ა.შ ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, თუ უთანხმოებასა და დამოკიდებულებების უარყოფითობას ექნება ადგილი, მაშინაც კი, თუ ურთიერთობები ზედაპირული ან დროებითია, თუ კომუნიკაცია დროის მოკლე ინტერვალში მყარდება, ვგულისხმობთ ტურისტებსა და ადგილობრივებს შორის კომუნიკაციას და შეხებას.

კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს სამზარეულო, ფოლკლორი, ტრა-

დიციული ხელოვნების ნიმუშები. კულტურის ერთ-ერთი დონეა მოქმედების მოდელი. რისგან შედგება საზოგადოებრივი ერთობა. საზოგადოებრივი ერთობა და კულტურა შედგება ასევე ადამიანების პროფესიისგან, განათლების სისტემისგან. ერთობა, რომელიც ატარებს კულტურას და მას სიცოცხლისუნარიანობას გამოყენების, მიდევნების თვალსაზრისით უწყობს ხელს, შედგება განსაზღვრული მიზნის ადამიანებისგან. ამიტომ უნდა ითქვას, რომ განსხვავებული არათუ კულტურებს, არამედ კულტურათაშორის ჯგუფებშიც და ჯგუფებს შორის ადამიანებშიც კი შესაძლებელია უკმაყოფილების, შეუთავსებლობის, უთანხმოების არსებობა. ამგვარად, სრულიად მოსალოდნელია განსხვავებული კულტურის ადამიანების შეხვედრისას დამოკიდებულებების ნეგატიურობაც.

არსებითად მნიშვნელოვანია იდენტობის როლი მიმდებლობაში; იდენტობა არის ის წარმოდგენა, რომელიც ადამიანს გააჩნია საკუთარ თავზე, როგორც პიროვნებაზე, მთლიანობაზე და რომელი წარმოდგენის მიხედვითაც ის აკავშირებს, აიგივებს საკუთარ თავს გარკვეულ კატეგორიასთან, სოციალურ ჯგუფთან, საზოგადოების ტიპთან. პიროვნული იდენტობის მიხედვით ინდივიდი საკუთარ თავს აიგივებს კულტურასთან, პროფესიასთან, სოციალურ როლთან, სტატუსთან და ა.შ.

არსებობს ორი სახის იდენტიფიკაცია: ინდივიდუალური და ჯგუფური, რაც გულისხმობს იდენტიფიკაციას „მე“-სთან, საკუთარ თავთან და იდენტიფიკაციას ჩვენთან, ჯგუფთან. ინდივიდიც და ჯგუფიც თავად ირჩევს ნიშნებს, რომლებიც უნდა მიიჩნიოს მართებულად, რელევანტურად, სწორად. ეს ნიშნები არის დამახასიათებელი ჯგუფებისთვის, რომლებთანაც ხდება იდენტიფიცირება. ეს ნიშნები შეიძლება იყოს კულტურასთან, სოციალურ სტატუსთან, როლთან, ფუნქციასთან, ნორმებთან დაკავშირებული. ინდივიდები და ჯგუფები საზღვრავენ ამ ნორმებს და მათგან განსხვავებული ნორმების, კულტურის, სოციალური სტატუსის მატარებლების მიღება უჭირთ. ეს იდენტიფიკაცია სუბიექტურია და ის მკვეთრად განსხვავდება ობიექტური იდენტიფიკაციისგან. ობიექტური იდენტიფიკაციის პროცესში სპეციალისტები მონაწილეობენ, ისინი ირჩევენ ნიშნებს, რომლებიც სპეციფიკურია, ისინი ცდილობენ აღმოჩენილ ნიშან-თვისებათა შორის კავშირის გამოძებნას. იდენტი-

ფიკაციაში მონაწილეობს ორი სუბიექტი: „მე და ჩვენ“ [10].

საზოგადოებრივი იდენტიფიკაციის პროცესში ყალიბდება ორი უმნიშვნელოვანესი რამ: გონი და იდენტობა. საზოგადოებაც და ინდივიდიც იდენტიფიკაციის პროცესში ყალიბდება. რა ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნებს საკუთარ თავს, რა კულტურის ნაწილად, რა სექსუალური ორიენტაციისაა და ა.შ. ეთნიკური იდენტობა აგრეთვე განსაზღვრავს ენას თუკი ბათუმის მოქალაქეს თავი ქართველად მიაჩნია, მაშინ მისი მშობლიური ენა იდენტობის სრულყოფისათვის უნდა იყოს ქართული. ქართულად მეტყველი ეთნიკურად ქართველია. ამასთან ეთნიკური იდენტობის განსაზღვრება კავშირშია რელიგიასთან. ეთნიკურად ქართველი ქრისტიანიც უნდა იყოს, ჭეშმარიტი მართლმადიდებელი და რომ სრულყოფილი ქართველობა რელიგიის, კერძოდ ქრისტიანობის გარეშე ვერ შედგება. ეთნიკური იდენტობა ეს ისეთი წესია, რომელიც საზოგადოების ცნობიერებაში თავისთავად არსებობს. ქართველები აღიარებენ ქართველად მათ, ვინც ქრისტიანია, ქართულად საუბრობს და მეტიც, ვინც ქართული კულტურის, ადათ-წესების მოყვარულია. იდენტობის განსაზღვრებაში ისინი მნიშვნელობას ანიჭებენ ჩაცმის სტილსაც კი. ჭეშმარიტ ქართველს ჩოხის ჩაცმაც უნდა უყვარდეს. როდესაც საკითხი ეხება ადგილობრივ მოსახლეობას და ტურისტებს, ისინი საკუთრად არ ღებულობენ ტურისტს სწორედ იმიტომ, რომ ის არ არის ქრისტიანი, ქართულად მოსაუბრე, ქართული კულტურის მატარებელი და ა.შ ანუ განსხვავებულობა და არა „ჩემიანობა“ განაპირობებს სწორედ მიუღებლობას, უცხოობას, დისტანცირებას. სრულყოფილი იდენტიფიკაციის პროცესში მნიშვნელოვანია სხვადასხვა ფორმების განხილვა, რომელთა ერთობლივი ამოქმედებითაც შეიძლება მივიდეთ სრულყოფილ იდენტიფიკაციამდე.

1) ეთნიკური იდენტიფიკაცია - გულისხმობს პროცესს როდესაც ინდივიდი არკვევს საკუთარ თავსა და საზოგადოებასთან ურთიერთობაში, რომელ კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნებს საკუთარ თავს, ანუ რომელი ეთნიკური ჯგუფის, ოჯახის წევრად თვლის საკუთარ თავს, ამას ის წყვეტს ეთნიკურ ჯგუფთან არსებული საერთო ოჯახური ნიშნებით. რამდენად გავს ის მათ, რამდენად ახლოსაა მათთან, რამდენად გრძნობს ამ ჯგუფის ოჯახის წევრად საკუთარ თავს.

2) ენობრივი თვითიდენტიფიკაცია - რატომ არის მნიშვნელოვანი იდენტიფიკაციის ეს ფორმა მიმღებლობისა და დამოკიდებულების განსაზღვრისას ტურისტებსა და ადგილობრივებს შორის? სასაუბრო ენა ერთ-ერთი იმ საერთო ან განმასხვავებელ ნიშანთაგანია, რომელმაც შეიძლება გაამარტივოს მხარეებს შორის გაგების ფაქტორი. თუ სასაუბრო ენა საერთოა და მითუმეტეს ორივე მხარისთვის მშობლიური, მაშინ ისინი ერთი ოჯახის წევრებად გრძნობენ თავს და შესაბამისად დისტანცირების, უცხოობის ან მიმღებლობის პრობლემები არ იქმნება. ყველა ინდივიდი იდენტობას განსაზღვრისას ირჩევს ერთ ენას, როგორც მშობლიურს, რომელ ენაზეც გაიზარდა ან საუბრობს.

3) რელიგიური იდენტიფიკაცია - ამ იდენტიფიკაციის ინდივიდი საზღვრავს თავისი რწმენიდან გამომდინარე რომელ რელიგიურ ჯგუფს მიაკუთვნებს ინდივიდი საკუთარ თავს. აქ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. შეიძლება ინდივიდს რწმენა არ ამოძრავებდეს და მოქმედებასაც და არჩევანსაც კულტურული ადათ-წესების ფონზე, მათი ზეგავლენით ახორციელებდეს. ანუ მისი რელიგიური არჩევანი იყოს განპირობებული იმით, რომ კულტურულ ოჯახში მიმდევრები იყვნენ ქრისტიანები და გამომდინარე ამ ოჯახის წევრიდან, ისინიც ირჩევენ ქრისტიანობას. ყველა რიტუალსაც უცვლელად გრძნობისა და რწმენის, გააზრების გარეშე იმეორებდეს. ადგილობრივი უცხო ტურისტთან შეხვედრისას აქცევს ყურადღებას რელიგიურ მიმდევრობას. ხშირად აქვს ადგილი ზოგიერთი რელიგიური მიმდევრობისადმი აგრესიას. მაგალითად, იაპოვას მოწმეების მიმართ ან არსებული პოლიტიკური ცივი ომის ფონზე, რომელიც მიმდინარეობს ისლამის მიმდევრების წინააღმდეგ აგრესიასა და შიშს აქვს ადგილი. ამიტომ, ძლიერი რელიგიური იდენტობის ფონზე განსხვავებული რელიგიური მრწამსის ტურისტებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებას ხშირად შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ამასთან, მნიშვნელოვანია რწმენებისა და მრწამსის განსაზღვრისას აზრთა სხვადასხვაობაც. მაგალითად ქართველს შეიძლება მიაჩნდეს, რომ მხოლოდ ქრისტიანობაა ჭეშმარიტი და სხვა რელიგია არის აბსურდული. მსგავსი დამოკიდებულების არსებობისას აგრესია ფსიქოლოგიურ დონეზე ვრცელდება, რომელიც რაღაც ფორმით ურთიერთობებსა და დამოკიდებულებაში გამოიხატება.

4) ფსიქოლოგიური თვითიდენტიფიკაცია - იდენტობაში ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ამ შემთხვევაში ინდივიდი განსაზღვრავს საკუთარ ფსიქოლოგიურ ტიპს, ანუ აკეთებს აარჩევანს თუ რომელი ფსიქოლოგიური ტიპია და ამ არჩევანს განსაზღვრავს ხასიათისა და პიროვნული ნებისყოფის მიხედვით.

5) სოციალური თვითიდენტიფიკაცია-მასში იგულისხმება ის, თუ რომელ სოციალურ ფენას მიაკუთვნებს ინდივიდი საკუთარ თავს. ამ თვითიდენტიფიკაციის ფორმასაც საკმაოდ დიდი კავშირი აქვს ტურისტებსა და ადგილობრივებს შორის ურთიერთობის პროცესში. სოციალურ ფენათა შორის სხვადასხვაობის თვალსაზრისით შესაძლებელია ვერ გამოინახოს საერთო ენა მხარეებს შორის და მიმღებლობა ვერ განხორციელდეს.

6) პროფესიული თვითიდენტიფიკაცია-გულისხმობს ინდივიდის პროფესიულ ჯგუფთან მიკუთვნებას.

7) სექსუალური თვითიდენტიფიკაცია-ანუ რომელ სექსუალურ ჯგუფს და ორიენტაციას მიაკუთვნებს საკუთარ თავს ინდივიდი. ამ კონკრეტული იდენტიფიკაციას ურთიერთობებისა და დამოკიდებულებების განსაზღვრაში არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე კულტურულ იდენტიფიკაციას, რელიგიურ ან სხვა დანარჩენს [11].

თუ ვიტყვით, რომ ქართველები ზედმეტად კონსერვატული, ტრადიციების მოყვარული ხალხია, შეიძლება ეს იყოს ერთ-ერთი მიზეზი განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების მიმართ გამოვლენილი აგრესიისა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი სტილი, იერსახე არ აკმაყოფილებს დამკვიდრებულ სტანდარტებს. ადგილობრივებს აქვთ შიში განსხვავებული ორიენტაციის ადამიანების მიმართ. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თვლის, რომ ისინი ცუდ მაგალითს აძლევენ ახალგაზრდობასა და მთლიანად საზოგადოებას.

არსებობს სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული რიგი პრობლემები. ისინი შეიძლება დავეყოს სხვადასხვა კატეგორიებად. ეს პრობლემები მეტწილად დაკავშირებულია საზოგადოების დამოკიდებულებასთან, რელიგიურ შეხედულებებთან, ინდივიდუალურ შეხედულებებთან, რომელიც არ მოდის თანხმობაში და არის წინააღმდეგობაში სექსუალურ ორიენტაციასთან. ანუ მთავარი პრობლემა არის ის, რომ გარემოსთვის, საზოგადოებისთვის

ვის, საზოგადოების ინდივიდუალური წარმომადგენლებისთვის მიუღებელია, პრობლემას წარმოადგენს განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები. ამ კატეგორიის ტურისტების მიმართ, ვფიქრობთ, ადგილი ექნება ადგილობრივებისგან, ფარულ ან ღია აგრესიას, დისკრიმინაციას, მათ მიმართ უსაფუძვლო, უარყოფით დამოკიდებულებებს. სწორედ ამ და სხვა მიზეზების დადგენის მიზნით ჩავატარე კვლევა და დავადგინე ბათუმის მოსახლეობის შემთხვევაში რამდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია სექსუალური ორიენტაცია ტურისტებისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბების კუთხით. საქართველოს ტურისტულ ქალაქებში და მათ შორის ბათუმშიც არ არის დანერგილი ისეთი მომსახურება, რომელიც გათვლილია განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ტურისტებზე. ეს პრაქტიკა ფართოდ არის გავრცელებული საზღვარგარეთ, სადაც მათთვის სპეციალური განთავსების, კვების და გართობის ობიექტებია შექმნილი.

იმისათვის, რომ მსჯელობა აღნიშნულ ფაქტორებზე გამყარდეს განვიხილოთ არგუმენტად კვლევა [12], რომელიც ჩატარდა განთავსების ობიექტების მეპატრონეებთან 2019 წელს. კვლევის საგანია ქ. ბათუმის მოსახლეობის ტურისტების მიმართ დამოკიდებულებების შესწავლა, დამოკიდებულების განმსაზღვრელი შესაძლო მიზეზების განსაზღვრა, როგორ იცვლება ატიტუდები სხვადასხვა ქვეყნისა და ეროვნების ტურისტებთან მიმართებით, დამოკიდებულების განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი და ა.შ. ეს პრობლემა აქტუალურია იქედან გამომდინარე, რომ აჭარის რეგიონი და, განსაკუთრებით, ბათუმი ტურისტულად აქტიური ქალაქია, აქ ძალიან ბევრი ტურისტი ჩამოდის. ისინი სხვადასხვა ეროვნების, კულტურის, სექსუალური ორიენტაციის, სხვადასხვა მრწამსისა და რელიგიის წარმომადგენლები იყვნენ. ხშირია უთანხმოებები, დაპირისპირებები და კონფლიქტები ადგილობრივებსა და ტურისტებს შორის. შესაბამისად, ეს საკითხი საჭიროებდა კვლევას უპირველესად დამოკიდებულებების განმსაზღვრელი მიზეზების თვალსაზრისით.

მიმდებლობის ხარისხის ცვლილება შესაძლებელია რამდენიმე ფაქტორთან - ინდიკატორთან - იყოს დაკავშირებული, მათ შორის:

- საერთო ენაზე კომუნიკაციის საშუალება - დაფიქსირებული პრაქტიკის თანახ-

მად, რაც უფრო მაღალია საერთო ენაზე კომუნიკაციის შესაძლებლობა, მით უფრო მაღალია მიმდებლობის ხარისხიც.

- საერთო კულტურული/ისტორიული/რელიგიური ფონი - ცხადია, თითოეულ ეთნოსი გარკვეულწილად მიკროორგანიზმია, რომელსაც საკუთარი სოციალური სტრუქტურა, წარმოსახვა და ერთობა გააჩნია. თუმცა ხშირია შემთხვევა, როცა რამდენიმე ქვეყანა საერთო "ფესვებს", წარსულს იზიარებს. ეს ფონი განაპირობებს ერთგვარ მენტალურ ერთობას მასპინძელსა და ქვეყანაში სტუმრად მყოფ ტურისტს შორის, განაპირობებს რა, ხშირ შემთხვევაში მსგავს შეხედულებებს სხვადასხვა საკითხის მიმართ, და/ან სასაუბრო თემების მრავალფეროვნებას.

- განსაზღვრულ ეთნიკურ ჯგუფთან თანაცხოვრების გამოცდილება - ტურისტებთან მიმართებაში მიმდებლობის ხარისხზე შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს მასპინძელი ერის ტურისტის ეთნიკურ ჯგუფთან თანაცხოვრების ცუდ/კარგ გამოცდილებას. რაც უფრო კარგია ეს გამოცდილება, მიმდებლობის ხარისხი ამ ეთნოსის ტურისტის მიმართ მით უფრო მაღალია.

- საპასუხო გამოცდილება - შესაძლებელია განვიხილოთ მიმდებლობის ხარისხის ვარიანტი მასპინძლის მიერ ტურისტის მშობლიურ ქვეყანაში სტუმრობის პირადი გამოცდილების შესაბამისად.

ამ თითოეული ინდიკატორის ანალიზი საშუალებას მოგვცემს დავინახოთ პრობლემა სწორი რაკურსით და მოვძებნოთ მისი შესაბამისი გადაჭრის გზები. კვლევის ფარგლებში დადგინდა, რომ რესპოდენტთა სრულ უმრავლესობას აქვს გარკვეული სახის შეხება ტურისტებთან, რომელიც განპირობებულია საქმიანი ან შემთხვევითი ურთიერთობებით. კვლევის განმავლობაში რესპოდენტებმა გასცეს ისეთ კითხვებს პასუხი, რომლებიც მაქსიმალურად გამოავლენდა მათ განწყობებს, დამოკიდებულებებს, რწმენებს, იმას თუ რის მიმართ არიან დადებითად განწყობილები, რა აღიზიანებთ ან მოსწონთ ტურისტებში. რესპოდენტთა თითქმის სრულ უმრავლესობას შეხება აქვს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისა და ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსულ ტურისტებთან. სასტუმროს მფლობელები მომსახურებისა და სერვისის თვალსაზრისით განსხვავებულ პაკეტებს სთავაზობენ ტურისტებს, განსხვავებულს იმ თვალსაზრისით, რომ ზოგიერთი სასტუმროს მფლობელი თავის ტურისტ-

ტებს ბევრ უფასო მომსახურებასა და საჩუქარს სთავაზობს და ამ გზით ცდილობს ინისი შეინაჩუნოს როგორც მუდმივი კლიენტები, გამოვლენილი ტენდენციით ჩანს რომ რესპოდენტებისთვის ეს დარგი და ტურისტების კმაყოფილება არსებითად მნიშვნელოვანია, ისინი კარგად იაზრებენ ფინანსური მოგების საფუძველს, ტურისტის კმაყოფილების შედეგს, ისინი თავს არ იჭერენ შორს განსხვავებული რელიგიის ან კულტურის წარმომადგენლებისგან, მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში აღიარეს რესპოდენტებმა, რომ მათთვის მსგავსი განსხვავებული ნიშნის ტურისტი მიუღებელია და მათგან დისტანცირდებიან. არსებითად მნიშვნელოვანი ნაწილი კვლევაში ეხებოდა ცალკეული ეროვნებების ტურისტებისადმი ადგილობრივების დამოკიდებულებას, თუ რომელი ეროვნების ტურისტებისადმი ჰქონდათ მეტი ან ნაკლები მიმღებლობა. რესპოდენტებს შორის დაფიქსირდა სხვადასხვაგვარი შეხედულება, რიგმა ნაწილმა თქვა, რომ არ გამოარჩევენ არცერთ ეროვნებას უარყოფითად ვის მიმართაც ნაკლები მიმღებობა აქვთ, სასტუმროს მფლობელებს შორის ტოლერანტული და ნეიტრალური დამოკიდებულება ყველა ეროვნების ტურისტის მიმართ მიმღებლობის თვალსაზრისით ხოლო ბინის გამქირავებლებს შორის შეიმჩნევა უარყოფითი დამოკიდებულებებიც, მაგ ერთ-ერთმა რესპოდენტმა განაცხადა, რომ მიუღებელი იქნა მისთვის

ტურისტი თუკი ის განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის წარმომადგენელი იქნება, საქმე იმაშია რომ რესპოდენტმა მიუღებლობის მიზეზი ჩაძიების გარეშე დაასახელა რაც მიანიშნებს მიზეზის მნიშვნელობაზე. ბათუმის მოსახლეობის მაგალითზე განხორციელებულმა კვლევამ განამტკიცა შეხედულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მიმღებლობა ვრცელი პროცესია, რომელშიც მონაწილე მხარეებზე სხვადასხვა სოციალური ფაქტორი ახდენს გავლენას, ზოგიერთი ფაქტორი უფრო ძლიერ გავლენას ვიდრე სხვები. კვლევამ ცხადყო რომ ტურისტებსა და ადგილობრივი მოსახლეობას შორის ურთიერთობის წარმატებულობას განსაზღვრავს კულტურაც, რელიგიაც, იდენტობაც, სოციალურ კლასობრივი განსხვავებაც, ენობრივი მნიშვნელობები, კომუნიკაციის შემადგენელი ქესტების განსხვავებული მნიშვნელობები, პოლიტიკა, კანის ფერი, ეთნიკური წარმომავლობა და აშ. ტურისტული ინდუსტრიის მასშტაბებზე და ტურიზმის ბიზნესის განვითარებასა და წინსვლაზე ძლიერ გავლენას ახდენს მიმღებლობა და ურთიერთობები, რადგან ერთის მხრივ ესეც ტურისტული პროდუქტია, რომელსაც მატერიალური პროდუქტისა და მომსახურების გარდა ყიდულობს ტურისტი. ამრიგად მიმღებლობა და ტურიზმი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული რგოლებია და ერთის წინსვლა მეორეზე დამოკიდებული.

REFERENCES

- [1] Королёва, Н. „Взаимосвязь отношения иностранных туристов России и россиянам и факторов межкультурной адаптации" <https://www.dissercat.com/content/vzaimosvyaz-otnosheniya-inostrannykh-turistov-k-rossii-i-rossiyanam-i-faktorov-mezhkulturnoi> 2006 ;
- [2] Королёва, Н. „Взаимосвязь отношения иностранных туристов России и россиянам и факторов межкультурной адаптации" <https://www.dissercat.com/content/vzaimosvyaz-otnosheniya-inostrannykh-turistov-k-rossii-i-rossiyanam-i-faktorov-mezhkulturnoi> 2006 ;
- [3] „ქსენოფობია საქართველოში და სელფის კატეგორიზაციის თეორია” 15.2015 [www. Intermedia.ge](http://www.intermedia.ge) – 09.04.2019;
- [4] მანდარია თ. რასიზმის პრობლემა და მედიის ფოკუსი, 25/04/2018 www.mediachecker.ge 17.05.2019
- [5] კომახია მ., სომხების გენოციდი, მოკლე მიმოხილვა. www.google.com/amp/s/postsovietwatch.com 2015;
- [6] რუხაძე, ო., ქსენოფობია პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. 05/2009 - სად მაქ ამის ტექსტი გამოყენებული?;
- [7] Ахмерова С.Р., Саратов:ПАГС, Черняева Т.И.„Туризм в перспективе городского развития// Развитие туризма”: этнические связи Германии и Саратовской области Сб. науч. статей / Под ред 2001.С.98-106./ 13/05/2019;
- [8] თანდაშილი მ. „იდენტობა-იდენტიფიკაცია/ Tandashvili.com/thema-3/;
- [9] Ислам и христианство. Сравнительная таблица”- 2018/10/22-;
- [10] მანდარია თ., რასიზმის პრობლემა მედიის ფოკუსში. 25.04.2018 www.mediachecker.ge

[11] თანდაშვილი მ., „იდენტობა-იდენტიფიკაცია/ Tandashvili.com/thema-3/ Верочений
<https://azbyka.ru/islam-i-xristianstvo-sravnitel'naya-tablica-verouchenij>

[12] სურმანიძე მ., ტურისტების მიმღებლობა ბათუმის მოსახლეობაში, კვლევის შედეგები, 06/ 2019

JEL: O1, O13, P23

DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.7.1.2020.37-45>

ინოვაციური ეკოსისტემა - ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი

ლამარა ქოქიაური,
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი, ეკონომიკური
კვლევების ეროვნული
ინსტიტუტის მთავარი
მეცნიერ-თანამშრომელი

lqoqiauri@yahoo.com

orcid.org/0000-0002-8190-1016

შემოსულია რედაქციში:

თებერვალი, 2020

რეცენზირებულია:

მარტი, 2020

შრომში შესწავლილია ინოვაციური ეკოსისტემის ძირითადი მიზანი, მისი როლი ეროვნული და რეგიონული ეკონომიკების ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობის ამაღლების საქმეში. აქვე განხილულია ინოვაციური ეკოსისტემის საკვანძო პარამეტრები და ლოკალური ინოვაციური ეკოსისტემების შექმნის საბაზო პირობები.

სტატიაში წარმოდგენილია დღეისათვის მეტად აქტუალური პრობლემა – ინოვაციების შექმნისა და კომერციალიზაციის პროცესი, კვლევებზე დახარჯული რესურსების განაწილების, ტექნოლოგიების განვითარებისა და კომერციალიზაციის თვალსაზრისით.

ოცდამეერთე საუკუნეში ეკონომიკის მდგრადი ინოვაციური განვითარებისათვის პირობების შექმნა დაკავშირებულია ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბებასთან. იგი ახასიათებს რეგიონის ან ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების თანამედროვე მოდელს და არის უფრო ადრინდელი კონცეფციის, კერძოდ, ეროვნული ინოვაციური სისტემის თეორიის აქტუალური ვერსია.

ინოვაციური ეკოსისტემის ფუნქციონირების საფუძველია კაპიტალისა და ეკონომიკური რესურსების, სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, რომელთა მიზანია – ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარება. ეკონომიკური რესურსები მოცემულ შემთხვევაში თავის თავში მოიცავს როგორც მატერიალურ რესურსებს, ასევე ადამიანისეულ კაპიტალს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინოვაციური ეკოსისტემა თავისი არსით წარმოადგენს ორი განსხვავებული სისტემის ერთობლიობას – ესენია: სამეცნიერო-კვლევითი და კომერციული. დღეისთვის აქტუალურია სამეცნიერო კვლევების და დამუშავებებზე გაწეული ინვესტიციების საერთო მოცულობაში კომერციული სექტორის წილის გადიდება.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციური ეკოსისტემა, ბიოლოგიური ეკოსისტემა, ფუნდამენტური კვლევები, კომერციალიზაციის პროცესი, სახელმწიფო ინვესტიციები, ვენჩურული კაპიტალი, ინოვაციური ეკოსისტემის მოდელი.

JEL: O1, O13, P23

DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.7.1.2020.37-45>

INNOVATIVE ECOSYSTEM - AN IMPORTANT FACTOR FOR ECONOMIC GROWTH

LAMARA QOQIAURI

Doctor of Economics Sciences,
Professor. Academician of Georgian
Economics Academy, Science worker
at the National Institute of Economic
Research
lqoqiauri@yahoo.com
orcid.org/0000-0002-8190-1016

Edited by:

Received, February, 2020

Accepted, March, 2020

The work explores the core purpose of the innovation ecosystem, its role in enhancing the competitiveness of national and regional economies. The key parameters of the innovative ecosystem are discussed here, and the baseline conditions for creating a local innovation ecosystem. The article presents the most pressing problem today- the process of creating and commercializing innovations, research in terms of resource allocation, technology development and commercialization.

The creation of conditions for sustainable economic development in the twenty-first century is linked to the establishment of an innovative ecosystem. It characterizes the modern model of innovative development of the region or the country's economy and is a current version of the earlier concept, in particular, the theory of the national innovative system. The basis of the functioning of the innovative ecosystem is the interdependence between capital and economic resources, economic entities, the goal of which is technological and innovative development. Economic resources in this case include both material resources and human capital. It should also be noted that the innovative ecosystem is essentially a combination of two different systems: scientific research and commercial. At present, it is important to increase the share of the commercial sector in the total volume of investments in scientific research and processing.

Key words: Innovative ecosystem, biological ecosystem, fundamental research, commercialization process, government investment, venture capital, innovative ecosystem model

© Innovative Economics and Management,
2020

შესავალი

ოცდამეერთე საუკუნეში ეკონომიკის მდგრადი ინოვაციური განვითარებისათვის პირობების შექმნა დაკავშირებულია ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბებასთან. იგი ახასიათებს რეგიონის ან ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების თანამედროვე მოდელს და არის უფრო ადრინდელი კონცეფციის, კერძოდ, ეროვნული ინოვაციური სისტემის თეორიის აქტუალური ვერსია.

ინოვაციური ეკოსისტემის ფუნქციონირების საფუძველია კაპიტალისა და ეკონომიკური რესურსების, სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, რომელთა მიზანია – ტექნოლოგიური და ინოვაციური განვითარება. ეკონომიკური რესურსები მოცემულ შემთხვევაში თავის თავში მოიცავს როგორც მატერიალურ რესურსებს, ასევე ადამიანისეულ კაპიტალს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ინოვაციური ეკოსისტემა თავისი არსით წარმოადგენს ორი განსხვავებული სისტემის ერთობლიობას – ესენია: სამეცნიერო-კვლევითი და კომერციული. დღეისთვის აქტუალურია სამეცნიერო კვლევების და დამუშავებებზე გაწეული ინვესტიციების საერთო მოცულობაში კომერციული სექტორის წილის გადიდება.

აუცილებელია, რომ დომინირებდნენ არა სახელმწიფოს მიერ შეკვეთილი სამეცნიერო კვლევები და პროექტები, არამედ კომერციულ სექტორში თვითინიცირებადი ის კვლევები, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის ჰარმონიული ინოვაციური განვითარებისთვის. წარმატებული ინოვაციური ეკოსისტემის საკვანძო პარამეტრების შესწავლის, ინოვაციების შექმნისა და კომერციალიზაციის პროცესის სრულყოფილად განხორციელებების აუცილებლობა განპირობებს შრომის აქტუალობას.

ზემოთაღნიშნული პრობლემების შესასწავლად გავეცანით და კრიტიკული თვალსაზრისით მივუდექით ინოვაციურ ეკოსისტემის თეორიისა და განვითარების მამამთავრების - ნ. ბეკეტოვის [1], ო. გოლიჩენკოს [3], დ.

რეიმერის, ი. შუმპეტერის, ბ. ლუნდვალის, ს. ვესნერის ს. დურსტის [9] ნაშრომებს. გარდა ამისა, შრომაზე მუშაობის პროცესში გამოვიყენეთ 2012-2019 წლებში ჩემს მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები და ნ. ქოქიაურთან და პროფ., ბ. გეგზაიასთან თანაავტორობით გამოცემული მონოგრაფიები [10, 11].

ძირითადი ნაწილი

უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტი მკვლევარისა და პრაქტიკოსის ყურადღება მიქცეული კონცეფციაზე ე.წ. ინოვაციური ეკოსისტემის შესახებ, რომლის საფუძველია ანალოგია ბუნებრივ ეკოსისტემებსა და ინოვაციურ სისტემას შორის.

ეკოსისტემის კონცეფცია ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა შეხედულებებს ღია ინოვაციების, კრაუდსორსინგის (შემსრულებლის ძიება შრომითი ხელშეკრულების დადების გარეშე), სტრატეგიული მენეჯმენტის, ეკონომიკის, სისტემათა თეორიის, შესახებ, ასევე ბიოლოგიური ანალოგიების, მეტაფორების, შესახებ და ახდენს მათ შედარებას ბუნებრივ ეკოსისტემებთან.

ინოვაციურ და ბიოლოგიურ ეკოსისტემებს შორის არის მყარი კონცეპტუალური ანალოგიები. ბიოლოგიური ეკოსისტემა ეს არის სისტემა, რომელიც აერთიანებს ყველა ცოცხალ ორგანიზმს (ბიოტიკური ფაქტორები) რომელიმე ზონაში, ასევე მათი ფიზიკური გარემოცვა (აბიოტიკური ფაქტორები), რომლებიც ფუნქციონირებენ ერთად, როგორც მთლიანი.

ეკოსისტემა ფლობს ისეთ ფუნქციონალურ მახასიათებლებს, რომლებიც გარკვეულწილად არეგულირებენ პროცესებს სისტემის შიგნით საჭირო წონასწორობით მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით. ბიოლოგიურ სისტემაში წონასწორობითი მდგომარეობა ყალიბდება ოპერაციებში ენერჯის მოძრაობით. ეკოსისტემის შიგნით. ამ შემთხვევაში ენერჯია არსი ურთიერთობის გამოხატვის ხერხი წყვილს: "მტაცებელი-მსხვერპლი" და მცენარეულ სამყაროს შორის.

იმასთან დაკავშირებით, რომ ენერჯის მოძრაობა რთული ფუნქციაა, ეკოსისტემა შეიძლება განხილული იქნას როგორც ერთი მთლიანი და არა ფრაგმენტულად, რამდენადაც სისტემის ყოველ ელემენტს ფუნქციონალური გავლენა აქვს სხვა ელემენტებზე [7].

ასე, რომ ბიოლოგიური ეკოსისტემა განხილულია ჩვენს მიერ, როგორც რესურსების, გარემოს და ცალკეული ფუნქციონალური სუბიექტების რთული ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ ნივთიერებათა და ენერჯის სტაბილურ გაცვლას.

ინოვაციური ეკოსისტემის ფუნქციონირების საფუძველია არა ენერჯის მოძრაობა, არამედ კაპიტალისა და ეკონომიკური რესურსების, სამეურნეო სუბიექტებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, რომელთა მიზანია – ტექნოლოგიური განვითარება და ინოვაციები. ეკონომიკური რესურსები მოცემულ შემთხვევაში თავის თავში მოიცავს როგორც მატერიალურ რესურსებს, ასევე ადამიანურ კაპიტალს.

ინოვაციური ეკოსისტემის ძირითადი ინსტიტუციონალური ერთეულები, სამეურნეო სუბიექტები არიან მცირე ინოვაციური საწარმოები, კორპორაციები, უნივერსიტეტები, ბიზნეს-სკოლები, ვენჩურული ინვესტორები, კვლევითი ინსტიტუტები, სახელმწიფო,

ორგანოები, საინვესციო ფონდები და ა.შ.

ინოვაციური ეკოსისტემა თავისი არსით წარმოადგენს ორი განსხვავებული სისტემის ერთობლიობას – ესენია სამეცნიერო-კვლევითი და კომერციული. პრაქტიკაში ეს ორი სექტორი სუსტად ურთიერთზემოქმედებენ. დღეისათვის ქვეყნისათვის აქტუალურია სამეცნიერო კვლევების და დამუშავებებზე გაწეული ინვესტიციების საერთო მოცულობაში კომერციული სექტორის წილის გადიდება.

აუცილებელია, რომ დომინირებდნენ არა სახელმწიფოს მიერ შეკვეთილი სამეცნიერო-კვლევები და დამუშავებები, არამედ კომერციულ სექტორში თვითინიცირებადი კვლევები, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის ჰარმონიული ინოვაციური განვითარებისათვის.

სწორად ორგანიზებული ინოვაციური ეკოსისტემის მნიშვნელოვანი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ კვლევითი სექტორისათვის საჭირო რესურსები ემატება რესურსებს კომერციული სექტორიდან, როგორც ბიზნესის წარმოების პროცესში მიღებული მოგების ნაწილი.

სიუზან დურსტი [8] გამოყოფს წარმატებული ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების საკვანძო წერტილებს (ცხრილი 1).


ცხრილი 1

წარმატებული ინოვაციური ეკოსისტემის საკვანძო პარამეტრები

პარამეტრები	ქვეჯგუფები
რესურსები	რესურსების მართვა რესურსების განთავსება რესურსებზე ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სახეობის ფულად ფონდებზე (სახელმწიფო და კერძო) ხელმისაწვდომობა.
მართვა	გრძელვადიანი ინვესტიციები ინფრასტრუქტურაში. გადაწყვეტილებების მიღება ინფორმაციის სიღრმისეული ანალიზის დახმარებით. პროფესიონალი ტოპ-მენეჯმენტი მისაღება სისტემის ყველა წევრისათვის. რისკების სისტემატური შეფასება. ინტერნეტ-დამატებების გამოყენება პარტნიორებს შორის ინტერაქციების მხარდასაჭერად. როლური მართვის გასაგები სისტემა.
კადრების მართვა	ინოვაცია როგორც სამუშაოს აღწერის სავალდებულო ნაწილი მეცნიერ მუშაკებისათვის (მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები) მკვლევართა საერთაშორისო თანამეგობრობაზე ხელმისაწვდომობა
პარტნიორები	(პარტნიორთა დიდი ოდენობით) მრავალი პარტნიორის გამოყენება უნივერსიტეტები – კოონფერაცია ეკონომიკურ სფეროში
სტრატეგია და ლიდერობა	მოთმინება ცხადი მიზანმართულება და ყურადღება დეტალებზე აბსტრაგირებული შეხედულება ინოვაციებზე ორგანიზაციული სტრუქტურა მდგრადობა და წარუმატებლობებზე და ქაოსში სწავლების უნარი ინოვაციური კულტურა

კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი არის ეკოსისტემის სუბიექტების განთავსება ერთ გეოგრაფიულ რეგიონში, მათი სტრატეგიული ურთიერთკავშირი, რომელიც ორიენტირებულია

განსაზღვრული ტექნოლოგიის განვითარებაზე. სილიკონის ველი არის ეკოსისტემის გეოგრაფიული ლოკალიზაციის ყველაზე ცნობილი მაგალითი.



ნახ. 1. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში ინვესტიციების წრებრუნვის ციკლი

ინოვაციური ეკოსისტემა შეიძლება ჩათვალოს ჯანსაღად და წარმატებულად თუ კი სახელმწიფო, კერძო ანდა კორპორატიული წყაროებიდან მიღებული, კვლევებში ინვესტირებული რესურსები უკან ბრუნდება გადიდებული მოგებით ინოვაციური პროდუქტების რეალიზაციის შედეგად. ამ შემთხვევაში ინოვაციური ეკოსისტემის ორივე სექტორი (კვლევითი და კომერციული) აღწევს გაწონასწორებულ მდგომარეობას.

განზოგადოებული სახით ურთიერთ-ზემოქმედების ზემოთ განხილული მოდელი შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი ფორმულით:

$$P = P_0 (J_{huokp}) + \Delta P = P_0 (1-a) + \Delta P,$$

სადაც

P – მოგება, კორექტირებული ინვესტიციებზე;

P_0 – საწყისი მოგება ფუნდამენტურ კვლევებში ინვესტირებამდე;

$P_0 (J_{huokp}) = P_0 (1-a)$ – ინვესტიციების ხვედრითი წილი კვლევებში კომერციული სექ-

ტორიდან მიღებულ მოგებაში;


ΔP – ეკონომიკის ზრდა ინოვაციური მდგენელის ხარჯზე.

ასე რომ, მოგების ნაწილი ინვესტირდება ფუნდამენტური კვლევების მხარდასაჭერად. შემდეგი უკუკავშირი ციკლის სახით ნაჩვენებია ნახ., 1-ზე.

ინოვაციური ტექნოლოგიური გარღვევების მეშვეობით, როცა ინოვაციური გარღვევების ხარჯზე მიღებული მოგება აღემატება სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეულ საწყის ინვესტიციებს, ეკოსისტემაში წონასწორობის ნაცვლად ადგილი აქვს ზრდას.

ფუნდამენტურ სამეცნიერო კვლევებს ინვესტირებასთან დაკავშირებული სახელმწიფო ინიციატივების უმეტესობათა შიდა ინოვაციური ეკოსისტემის გადასვლა წონასწორობის ფაზიდან ზრდის ფაზაში. ამასთან დაკავშირებით იზრდება საგადასახადო მოსაკრებლების სიდიდე:

$$P > P_0 (J_{huokp}) + \Delta P = P_0 (1-a) + \Delta P$$



ნახ. 2. ინოვაციების შექმნისა და კომერციალიზაციის პროცესი

ინოვაციური ეკოსისტემის ზრდისათვის აუცილებელია პერსპექტიული იდეებისა და ცალკეული გარღვევებითი ხასიათის ტექნოლოგიების სატრანსფერტო მექანიზმის წარმატებული ფუნქციონირების მიღწევა მზა პროდუქციაში, რომლებიც მოიტანენ მოგებას. ამ მიზნის მიღწევის სირთულე დაკავშირებულია იმასთან, რომ ზემოთ განხილული ინოვაციური ეკონომიკის ორ სექტორში მოქმედებს ანაზღაურების განსხვავებული სისტემები. ეს ქმნის დამატებით სირთულეებს ფუნდამენტური კვლევების სფეროში მიღწეულ ორი პრობლემის მიჯნაზე გაკეთებული მეცნიერულ აღმოჩენებთან მიმართებაში, აგრეთვე იმ ინოვაციურ პროდუქტებთან მიმართებაში, რომლებიც ტარდება ბაზარზე მოგების გადიდების თვალსაზრისით.

ნახ., 2-ზე გრაფიკულადაა წარმოდგენილი ინოვაციების შექმნისა და კომერციალიზაციის პროცესი, კვლევებზე დახარჯული რესურსების განაწილების დემონსტრაციის, ტექნოლოგიების განვითარებისა და კომერციალიზაციის თვალსაზრისით.

როგორც ნახაზიდან ჩანს, ინოვაციების შექმნის საწყის ეტაპზე, აღმოჩენების ეტაპზე (გრაფიკის მარცხენა მხარე) ძირითადად დომინირებს სახელმწიფო ინვესტიციები ფუნდამენტურ კვლევებში, მაშინ როცა კომერციალიზაციის ზონაში (გრაფიკის მარჯვენა ნაწილი) შეინიშნება კონკრეტული პრო-

დუქტების შემუშავებაზე მიმართული ბიზნეს-ინვესტიციების დონე. არსებითი გარღვევა შემოსული ინვესტიციების მოცულობაში სიახლეების დემონსტრირებისა და სრულყოფის ეტაპზე უცხოურ წყაროებში აღინიშნება როგორც „სიკვდილის ხეობა, ველი“ (გრაფიკის ცენტრალური ნაწილი). ინოვაციური პროცესების ამ ეტაპზე ბევრი ინოვაციური გადაწყვეტა რჩება რეალიზაციის გარეშე იმ რესურსების არარსებობის ან უკმარისობის გამო, რაც საჭიროა ამ ინოვაციების იმ დონემდე განსავითარებლად, როცა ინვესტიციები შეამჩნევენ (აღმოაჩენენ) მის კომერციულ პოტენციალს და შეაფასებენ რისკს, რაც დაკავშირებულია ინოვაციური გადაწყვეტილებების წარმოებაში დანერგვასთან და შემდგომ კი ბაზარზე მის რეალიზაციასთან.

ასე რომ, ინოვაციური პროცესის განვითარების არსებით პრობლემას ეკოსისტემაში წარმოადგენს დანერგვისათვის საჭირო საინვესტიციო რესურსების (Iqpt)-ს უკმარისობა ტექნოლოგიების დემონსტრაციისა და განვითარების ეტაპზე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ინოვაციური ეკოსისტემის ზრდის ტრაექტორიაზე გასვლის სტიმულირების ყველაზე ეფექტიანი გზა არის ინვესტიციების მოცულობის ზრდა ინოვაციების დემონსტრაციისა და ტექნოლოგიების განვითარების ეტაპზე. ამ რეკომენდაციის რეალიზაცია, ხელს შეუწყობს იმ ინოვაციების რიცხვის ზრდას, რომელთაც მიაღწიეს

კომერციალიზაციის ეტაპამდე, თუმცა ეკოსისტემის მუდმივ ზრდასა და აყვავებას (განვითარების) გარანტიას არ იძლევა. რამდენადაც არ ითვალისწინებს რესურსების შეზღუდულობისა იმ განუსაზღვრელობათა არსებობას, რომელთაც შეიძლება შეზღუდოს ზრდა ბაზარზე. ამის გარდა, ინვესტიციების გადიდება ინოვაციების დემონსტრირებისა და ტექნოლოგიების განვითარების ეტაპზე ამცირებს ეკოსისტემის დაგროვილ მოგებას, და მოითხოვს დიდ ინვესტიციებს ინოვაციებიდან მიღებული მოგებიდან (ΔP -ს) ინოვაციური ციკლის დასასრულებლად. ანუ

$$P > P_0 (1-a) - J_{APT} + \Delta P$$

პრაქტიკა აჩვენებს, რომ 99% პროექტებისა, რომელთაც აქვთ პრეტენზია დააფინანსონ ინვესტორებმა დემონსტრირებისა და ტექნოლოგიების განვითარების ეტაპზე, როგორც წესი წარუმატებელი არიან [7]. ეს იმაზე მეტყველებს, რომ დანაკარგების წილი ინოვაციების დემონსტრირებისა და ტექნოლოგიების განვითარებაზე გაწეული წარუმატებელი ინვესტიციებისაგან შეიძლება იყოს ძალზე მნიშვნელოვანი.

დანაკარგების შემცირება შეიძლება თუ კი ვისარგებლებთ მოცემული სფეროს პროფესიონალი და გამოცდილი ექსპერტების მომსახურებით, რომელთაც აქვთ ტექნოლოგიების ტრანსფერის „სიკვდილის ველზე“ გადატარების შემდეგ წარმატებული პროდუქტების, გარდაქმნის გამოცდილება. ანუ ეს არის წარმატებულ მეწარმეებთან, ვენჩურულ ინვესტორებთან, და ბიზნეს-ანგელოზებთან ურთიერთობის გამოცდილება. მაგრამ, როგორც ამას უცხოური გამოცდილება ადასტურებს, მიუხედავად პროგრამების გულდასმითი შემუშავებისა პროფესიონალიზმის ხარჯზე, ასევე ამ საქმისადმი კეთილსინდისიერი მიდგომის მიუხედავად, პოტენციურად ვენჩურული ინვესტორების მხოლოდ 10%-ს თუ შეუძლია გახდეს წარმატებული [7]; ამასთან ინოვაციური პროექტების ჩავარდნის მიზეზები, როგორც წესი, არის ბაზრის არასწორი შეფასება, ბიუროკრატიული ბარიერები, პრო-

დუქტისათვის ბაზრის არარსებობა, ბაზარზე არსებული კონკურენციის შეუფასებლობა ახალი ტექნოლოგიების მოსალოდნელთან შეუსაბამობა, მენეჯმენტის არასწორი (მცდარი) გადაწყვეტილებები, მოულოდნელი ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.

უცხოური სტატისტიკის მიხედვით კაპიტალის მფლობელთა ვენჩურული ინვესტიციების 50%-მდე წარუმატებელია, 30% წარუმატებელი არ არის, მაგრამ არც დიდი ზრდის მომტანია; 10% – იძლევა ზრდას უღონოდ არაუმეტეს 20%-სა წელიწადში და მხოლოდ 10% იძლევა პრაქტიკულად ექსპონენციალურ ზრდას 100-დან 1000%-მდე წლიურად. ვენჩურული კაპიტალის მფლობელები პროექტში ინვესტიციებს თვლიან წარმატებულად, მხოლოდ მაშინ, თუ კი ინვესტიციების უკან დაბრუნების კოეფიციენტი (ROJ) აღემატება 10-ის მნიშვნელობას. ასეთი მინიმუმის არსებობის მიზეზია ის, რომ ინვესტორებს სურთ მათი ინვესტიციების დაფარვის გარანტია სხვა წარუმატებელ პროექტებში (რომლებიც ყოველი 10 პროექტიდან არის 9). ანალოგიურად, ინოვაციური ინვესტორების ინოვაციური ეკოსისტემას უნდა ჰქონდეს საჭირო და საკმარისი ზრდა იმისათვის რომ დაფაროს ინოვაციების დემონსტრაციისა და ტექნოლოგიების განვითარების ეტაპზე გაწეული (განხორციელებული) ყველა ინვესტიცია.

მაღალი საინვესტიციო რისკი არის მთავარი ფაქტორი, რომლის საფუძველზეც შეიძლება განისაზღვროს ჯანსაღი ინოვაციური ეკოსისტემის განმსაზღვრელი პირობები, ეს პირობებია:

ჯერ ერთი, მომგებიანობის გადიდება წარმატებული ინოვაციური პროექტების ხარჯზე უნდა იყოს საკმარისი იმისათვის, რომ კომპენსირებული იქნას სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელებაზე გაწეული დანახარჯები. ასევე საკმარისი უნდა იყოს დაგროვილი ინვესტიციები როგორც წარმატებულ – ასევე წარუმატებელ პროექტებზე დემონსტრირებისა და ტექნოლოგიების

განვითარების პროცესში;

მეორეც, იმის გათვალისწინებით, რომ პროექტების უმეტესობისათვის წარუმატებლობის ალბათობა ეკოსისტემის ჩარჩოებში საკმაოდ მაღალია, ჯანსაღი ეკოსისტემა გათვლილი უნდა იყოს წამგებიანი პროექტების საკითხების სწორ დარეგულირებაზე, მათი რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე დასრულების მიზნით, რათა უფრო გონივრულად იქნას გამოყენებული ეკოსისტემის რესურსებით. იდეალურად, ეკოსისტემამ უნდა მოახდინოს (უნდა უნარი შესწევდეს) ნებისმიერი რესურსის (მათ შორის ადამიანურისაც) ეფექტიანი კვლავწარმოება, რაც კი დაიხარჯა ნებისმიერი პროექტის წარუმატებელი სისტემაში ჩაშვების მსვლელობაში;

მესამეც – საჭიროა კომერციული სტრუქტურების (კორპორაციები და საშუალო ბიზნესი) მოგების ნაწილის რეინვესტირების ოპტიმალური ორგანიზაციური სტრუქტურის შექმნა მცირე ინოვაციური საწარმოების სახით;

მეოთხე, აუცილებელია ტექნოლოგიების დემონსტრაციისა და განვითარების სისტემის მოწყობა ისე, რომ ბიზნეს შეეძლოს ინვესტირება მცირე ინოვაციებზე, საწარმოებში უფრო ადრეულ ეტაპებზე, ასევე „წარუმატებელი პროექტების“ უტილიზაცია უფრო ადრეულ ეტაპებზე;

მეხუთე, მნიშვნელოვანი ხდება სახელმწიფოს მონაწილეობა ინოვაციური წამოწყებების მხარდაჭერის სისტემების ორგანიზაციაში მათი განვითარების საწყის ეტაპებზე (სტარტაპები). გრანტების, საგადასახადო შეღავათების, და სხვა ინოვაციური ეკოსისტემის სუბიექტების სხვა პრეფერენციების სახით.

ეკოსისტემის რესურსები ძალზე შეზღუდულია, ამიტომ წარმატებული და წარუმატებელი პროექტების განვითარების დინამიკა „სიკვდილის ხეობაში“ წარმოადგენს ეკოსისტემის რეგულაციის მნიშვნელოვან მექანიზმს.

მანც რა ხერხებით შეიძლება „სი-

კვდილის ხეობის“ გადალახვის გზების გაუმჯობესება. აქვე უნდა ითქვას, რომ ეკოსისტემის შიგნით ტექნოლოგიების განვითარების ერთიანი მზა რეცეპტი არ არსებობს, რამდენადაც მეთოდები ფართოდ ვარიირებენ ტექნოლოგიების თავისებურებების, ეკოსისტემის კულტურის, სისტემის მონაწილეთა პიროვნულობისა და ჩვევებზე დამოკიდებულებით.

თუ კი დავუბრუნდებით „სიკვდილის ხეობაში“ მიმდინარე პროცესებს, მაშინ განსახილველი პრობლემის გადაჭრის ყველაზე საუკეთესო გზა არის არამატერიალური რესურსების და სუბიექტებს შორის ურთიერთობების ისეთიან ორგანიზება, რომ „ხეობის“ კვლევითი საქმიანობის ხაზი განთავსდეს მარჯვნივ, ხოლო კომერციული ხაზი კი მარცხნივ. შედეგად უთანხმოებების ნაწილი გვარდება. ინოვაციური ეკოსისტემის მდგენელები ურთიერთმიახლოვებული ხდებიან.

ისმის კითხვა – როგორ იქნას მიღწეული ასეთი შედეგი? ჯერ ერთი, უნდა მოხდეს სპეციალიზირებული კადრების სწავლება ტექნოლოგიების ტრანსფერტების, პროექტების მეთოდოლოგიათა კონტროლის და მათი კომერციული წარმატებისაკენ ბიძგის მიცემის კუთხით. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობენ ეკოსისტემის კვლევითი ნაწილის გადაადგილებას მარჯვნივ, – კომერციულ რეალიზაციასთან ახლოს. მეორეც, როგორ ამაზე ზემოთ იყო ხაზგასმული, საჭიროა კორპორაციის მოგების რეინვესტირების პროცესების გონივრული ორგანიზება ფუნდამენტურ კვლევებში, მცირე ინოვაციურ საწარმოებში, კერძოდ, ან მის სრულად შთანთქმის ან კომპანიის წილის შესყიდვის გზით. მესამეც, არანაირ ინოვაციურ ეკოსისტემას არ შეუძლია ეფექტიანი ფუნქციონირება სახელმწიფო ინვესტიციების მცირე ინოვაციურ საწარმოებში და ფუნდამენტურ კვლევებში დაბანდების გარეშე. სახელმწიფოს სარგებელი მდგომარეობს აღნიშნულ ქმედებებისაგან მიღებულ ეკონომიკურ ზრდაში და შესაბამისად დიდი საგადასახა-

დო გადარიცხვებით წარმატებულ ინოვაციურ პროექტებში.

დასკვნა

ამრიგად, ინოვაციური ეკოსისტემა თავისი არსით წარმოადგენს ორი განსხვავებული სისტემის ერთობლიობას – ესენია სამეცნიერო-კვლევითი და კომერციული. პრაქტიკაში ეს ორი სექტორი სუსტად ურთიერთზემოქმედებენ. დღეისათვის ქვეყნისათვის აქტუალურია სამეცნიერო კვლევების და დამუშავებებზე გაწეული ინვესტიციების საერთო მოცულობაში კომერციული სექტორის წილის გადიდება.

აუცილებელია, რომ დომინირებდნენ არა სახელმწიფოს მიერ შეკვეთილი სამეცნიერო-კვლევები და დამუშავებები, არამედ კომერციულ სექტორში თვითინიცირებადი კვლევები, რომლებიც სასიცოცხლოდ აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის ჰარმონიუ-

ლი ინოვაციური განვითარებისათვის.

სწორად ორგანიზებული ინოვაციური ეკოსისტემის მნიშვნელოვანი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ კვლევითი სექტორისათვის საჭირო რესურსები ემატება რესურსებს კომერციული სექტორიდან, როგორც ბიზნესის წარმოების პროცესში მიღებული მოგების ნაწილი.

ინოვაციური ეკოსისტემა შეიძლება ჩაითვალოს ჯანსაღად და წარმატებულად თუ კი სახელმწიფო, კერძო ანდა კორპორატიული წყაროებიდან მიღებული, კვლევებში ინვესტირებული რესურსები უკან ბრუნდება გადიდებული მოგებით ინოვაციური პროდუქტების რეალიზაციის შედეგად. ამ შემთხვევაში ინოვაციური ეკოსისტემის ორივე სექტორი (კვლევითი და კომერციული) აღწევენ გაწონასწორებულ მდგომარეობას.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] Гредченко А.И., Манахов С.В. Совершенствование системы налогообложения предприятия и организации Малого и среднего бизнеса в России//Аудит и Финансовый анализ. 2008. №1. pp. 19-26.
- [2] Кузнецова И.А., Гостева С.Ю. Методология и практика статистического измерения инновационной деятельности в экономике Современные тенденции.//Вопросы статистики – 2008. №5. pp. 30-46.
- [3] Моисеев Н.А., Ахмадеев Б.А. Факторная модель динамики инфляционных процессов в иновационной экономике//наука и практика 2014. №2. pp. 40-52.
- [4] Романов В.П. Ахмадеев Б.А. Моделирование иновационной экосистемы на основе модели «хищник-жертва»//Бизнес-информатика 2015. pp. 7.17.
- [5] Ahmadina A. System Dynamics and Technological Innovation System. Models of Multi-Technology Substitution Processes. – Goteborg, Sweden, 2009. URL.<http://publications.lip.chalmers.se/records/fulltext/74728.pdf>
- [6] Bena J. and Lik. Corporate Innovations and Mergers and Acquisitions//Journal of Finance. 2014. Vol 69 (5). pp. 1923-1960.
- [7] Carson R. Improve venture Capital Returns with IP Portfolio Management. Ezine Articles – URL: <http://ezinearticles.com/Improve-venture-Capital>Returns0With-IP-Portfolio-Management&id=1420039>.
- [8] Durst S. Poutannen P. Success Factors of Innovation Ecosystems – Initial insights from a Literature Review//CO-CREATE. 2013. pp. 27-38.
- [9] Stunt V. Why Google is Boying a seemingly crazy Collection of Companies//CBC News-2014. Feb-URL.<http://www.cbc.ca/news/technology/why-google-is-buying-a-seemingly-crazy-collection-of-companies-1.2537110>.
- [10] ქოქიაური ლ., ქოქიაური ნ. 2015. ინოვაციები. თბ.: გამომცემლობა „კალმოსანი“. გვ. 688.
- [11] ქოქიაური ლ., ქოქიაური ნ., გეზბაია ბ. 2018. ინოვაციური ეკონომიკა, თბ.: გამომცემლობა „კალმოსანი“. გვ. 650.

JEL: F1, F16

DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.7.1.2020.46-51>

საქართველოს და ირანის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები

თეიმურაზ ყანდაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი
თბილისი, საქართველო
E-mail: t.kandashvili@gtu.ge
orcid.org/0000-0003-3319-7105

ლელა კოჭლამაზაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი
თბილისი, საქართველო
E-mail: l.kochlamazashvili@gtu.ge
orcid.org/0000-0002-7952-6587

თამარ ქობლიანიძე,
ეკონომიკის დოქტორი,
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის პროფესორი
თბილისი, საქართველო
tamar.koblianidze@gtu.ge
orcid.org/0000-0002-5256-548X

შემოსულია რედაქციაში:
თებერვალი, 2020
რეცენზირებულია:
მარტი, 2020

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციამ. დამყარდა სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან, პირველ რიგში კი მეზობელ ქვეყნებთან. გამონაკლისს ირანის ისლამური რესპუბლიკა წარმოადგენდა.

სტატიის კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველო - ირანის ისლამური რესპუბლიკის ეკონომიკური ურთიერთობები. ყურადღება გამახვილებულია იმ დარგებზე, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაში.

2006 წლიდან საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან მზარდი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტის წილი ექსპორტს ბევრად სჭარბობს. ექსპორტის წახალისება და ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად არის გამოცხადებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით, სრულად არ არის ათვისებული ეკონომიკის, მათ შორის სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლის საექსპორტო პოტენციალიც ქვეყანაშია.

ნაშრომში განხილულია საქართველოსა და ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის ბოლო წლების სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტ-იმპორტის ძირითადი სასაქონლო ჯგუფები, ინვესტიციები.

საკვანძო სიტყვები: სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები, სავაჭრო ბრუნვა, ექსპორტი, იმპორტი, ინვესტიცია.

JEL: F1, F16

DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.7.1.2020.46-51>

Teimuraz Kandashvili,

Doctor of Economics, Professor of
Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
t.kandashvili@gtu.ge
orcid.org/0000-0003-3319-7105

Lela Kochlamazashvili,

Doctor of Economics, Professor of
Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
l.kochlamazashvili@gtu.ge
orcid.org/0000-0002-7952-6587

Tamar Koblianidze,

Doctor of Economics, Professor of
Georgian Technical University
Tbilisi, Georgia
tamar.koblianidze@gtu.ge
orcid.org/0000-0002-5256-548X

TRADE AND ECONOMIC RELATIONS BETWEEN GEORGIA AND IRAN

After gaining independence, the integration of the Georgian economy into the world economic space has become vital. Trade and economic relations have been established with many countries around the world, especially with neighboring countries. The Islamic Republic of Iran was an exception. The purpose of the research of the article is the economic relations between Georgia and the Islamic Republic of Iran. The focus is on the areas that play an important role in the development of bilateral relations.

Georgia's trade and economic relations with the Islamic Republic of Iran have been growing since 2006, but it should be noted that the share of imports far exceeds exports. Encouraging and promoting exports is one of the priorities of the state, but so far, the sectors of the economy, including agriculture, whose export potential is in the country, have not been fully exploited. The paper discusses the recent trade turnover between Georgia and the Islamic Republic of Iran, major export and import groups, and investments.

Keywords: Trade and economic relations, trade turnover, exports, imports, investment.

Edited by:

February, 2020

Reviewed by:

March, 2020

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო აქტიურად თანამშრომლობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან. მათ შორისაა ირანის ისლამური რესპუბლიკა. ირან - საქართველოს ურთიერთობებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. პერსპექტივის გათვალისწინებით ირანი საქართველოსთვის სერიოზული პარტნიორი და რეგიონის მეზობელია.

ირან-საქართველოს ურთიერთობები ბევრი მიმართულებით ვითარდება. მნიშვნელოვანია ორი ქვეყნის ურთიერთობების გაღრმავება სავაჭრო-ეკონომიკურ ასპექტში. ასევე პრიორიტეტულია ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, მეცხოველეობის, მშენებლობისა და ენერჯეტიკის სფერო. ამ მიმართულებით თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის დაწყებულია და გარკვეული შედეგებიც სახეზეა. ირანის ისლამური რესპუბლიკა უზარმაზარი ენერგორესურსების მფლობელია. საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია ენერგოუსაფრთხოებისათვის სანდო პარტნიორი [1].

ბოლო წლებში საქართველოს სავაჭრო ბრუნვა მზარდი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა, იმპორტის წილი ექსპორტზე ბევრად მეტია. ვაჭრობა ქვეყნებს საშუალებას აძლევს აკეთონ ის, რაშიც საუკეთესო არიან, თუმცა მთავარი საკითხია თუ ვინ როგორ იყენებს ამ საშუალებას.

ექსპორტის წახალისება და ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთ პრიორიტეტად არის გამოცხადებული, თუმცა, ჯერჯერობით, სრულად არ არის ათვისებული ეკონომიკის, მათ შორის განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლის საექსპორტო პოტენციალიც ქვეყანაშია.

2015 წლიდან 2018 წლის ჩათვლით, საქართველოსა და ირანს შორის სავაჭრო ბრუნვა გამოირჩეოდა ზრდის ტენდენციით, 2015 წ. - 128,10 მლნ, 2016 წ. - 131,13 მლნ, 2017 წ. - 181,55 მლნ, ხოლო 2018 წელს ბრუნვა 251,90 მლნ, ხოლო 2019 წელს 258.30 მლნ, აშშ დოლარამდე გაიზარდა (იხ.ცხრილი 1).

ცხრილი 1

საქართველო - ირანის ისლამური რესპუბლიკის სავაჭრო ბრუნვა 2007-2019 წწ.

წლები	2014	2015	2016	2017	2018	2019
მლნ. აშშ დოლარი						
სულ	150,83	128 10	131,13	181,55	251,90	258.30
ექსპორტი (აშშ \$)	28,21	35,78	46,59	76,35	74,16	71.23
იმპორტი	122,62	92,32	84,54	105,19	177,74	187.07

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. №07/3144 [2]

2019 წლის მონაცემებით, საქართველოს სავაჭრო ბრუნვა ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან, წინა წლის მონაცემებთან შედარებით, 3%-ით გაიზარდა და 258,30 მლნ დოლარი შეადგინა, ხოლო ექსპორტი შემცირდა 4%-ით და 71,23 მლნ დოლარი შეადგინა.

საქართველოდან ირანის ისლამურ რესპუბლიკაში 2019 წელს გატანილ იქნა შემდეგი საქონელი, (იხ.,ცხრილი 2).

საქართველოდან ირანის ისლამურ რესპუბლიკაში 2019 წელს გატანილ იქნა შემდეგი საქონელი, (იხ.,ცხრილი 2).

ცხრილი 2

საქართველოდან ირანის ისლამურ რესპუბლიკაში 2019 წელს ექსპორტირებული ძირითადი საქონელი (მლნ დოლარი)

სულ - მათ შორის:		% - მთლიანი ექსპორტის მიმართებით
ფეროშენადნობები	14.4	20.2
ცხვრის ხორცი	12.35	17.3

ხე-ტყის მასალა	11.64	16.3
სინთეზური მონომაფები	6.72	9.4
საბურავები (ახალი)	3.83	5.4
სიგარები, სიგარილები და სიგარეტები	1.83	2,6
მინის ჭურჭელი	1.77	2,5
ხელის პნევმატური ინსტრუმენტები	1.22	1,7
სისხლი სამედიცინო მიზნებისთვის	1.12	1,6
პოლიამიდები პირველადი ფორმებით	1.1	1,5
მილები შავი ლითონებისგან	1.1	1,5
სამკურნალო საშუალებები	1.03	1.4

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. №07/3144 [2]

როგორც ფაქტობრივი მონაცემებიდან ჩანს, საექსპორტო პროდუქციაში ძირითადად წამყვანი ადგილი უჭირავს ფეროშენადნობებს, ცხვრის ხორცს და ხე-ტყის მასალებს - 14,4 მლნ აშშ დოლარი, 12,35 მლნ აშშ დოლარი და 11,64 მლნ აშშ დოლარი. უნდა აღინიშნოს ფეროშენადნობების ექსპორტის მოცულობის მკვეთრი ზრდა, 2018 წლის 4,79 აშშ მლნ დოლარიდან 14,4 მლნ აშშ დოლარამდე 2019 წელს. მნიშვნელოვნად შემცირდა მსუბუქი ავტომობილების, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, უალკოჰოლო გაზიანი სასმელების ექსპორტი. ცალკე უნდა აღინიშნოს ცხვრის ხორცის ექსპორტის 3-ჯერ შემცირება. მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოდან 155 200 სული ცხვრის ექსპორტი განხორციელდა, 2018 წელს კი - 66 917 ერთეულის, ანუ 132%-ით გაიზარდა ექსპორტი. ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ცხვრის ხორცის ექსპორტის 3-ჯერ შემცირება გამოიწვია იმან, რომ 2018 წელს ძირითადად გადიოდა ხორცად, 2019 კი - ცოცხალი. ამის მიზეზია ის,

რომ არაბებმა უფრო მეტი ფასი გადაიხადეს იმ პერიოდში, ვიდრე ირანელებმა. ცოცხალ საქონელზე უფრო მეტად არაბული ქვეყნებიდან არის მოთხოვნა, კერძოდ, დუბაიდან, ბაჰრეინიდან, ყატარიდან და ა.შ. რამადანის დღესასწაულის პერიოდში, გაჰყავთ და იქ ადგილზე კლავენ [3].

მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ბრუნვა 2015 წლიდან სტაბილური ზრდის ტენდენციით გამოირჩევა და 2019 წელს მან 258,3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ასეთივე ზრდის ტენდენცია ვერ შენარჩუნდა ექსპორტის კუთხით. საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ქართველმა მეწარმეებმა მეტი ყურადღება დაუთმონ წარმოებული პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებას და მათი ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას, რაც მნიშვნელოვნად გააფართოებს და გაამრავალფეროვნებს საექსპორტო საქონლის ჩამონათვალს.

რაც შეეხება ირანის ისლამური რესპუბლიკიდან საქართველოში იმპორტს, 2019 წელს შემდეგი სურათია (იხ., ცხრილი 3).

ცხრილი 3

ძირითადი საიმპორტო პროდუქცია (მლნ აშშ დოლარი)

სულ - მათ შორის:		% - მთლიანის მიმართებით
ნავთობის კოქსი	49.1	26.2
მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილები (მოჭიქურებული)	19.91	10.6
ეთილენის პოლიმერები	11,83	6,3
მილები და ღრუ პროფილები შავი ლითონებისგან	10.2	5,4
თერმულად დამუშავებული მინა	7.0	3,7
კუთხოვანი პროფილები ნახშირბადიანი ფოლადისგან	6.95	3,7

წნელები ცხლად ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან	5.92	3,2
წნელები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	5.5	2,9
ნატრიუმის ან კალიუმის ჰიდროქსიდი და პეროქსიდები	3.42	2,9
შესაფუთი პაკეტები და ტომრები	2.97	1,6
სპილენძის მავთული	2.92	1,6
ქვა(დამუშავებული)	2.92	1,6
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	2.68	1,4
მავთული ნახშირბადიანი ფოლადისაგან	2.52	1,3
ცემენტი	2.43	1,3
სიგარილები, სიგარები და სიგარეტები	2.16	1,2
მინის ჭურჭელი	2.03	1,1
მეტალოკონსტრუქციები შავი ლითონებისგან	1.95	1,0

წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. №07/3144 [2]

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2019 წელს ძირითად საიმპორტო პროდუქციაში ლიდერობს ნავთობის კოქსი (26.2%), მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილები (მოჭიქურებული) (10.6%), ეთილენის პოლიმერები (6.3%), მილები და ღრუ პროფილები შავი ლითონებისაგან (5.4%), თერმულად დამუშავებული მინა (3.7%) და ა.შ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნავთობის კოქსი, მოსაპირკეთებელი კერამიკული ფილები, ეთილენის პოლიმერები, თერმულად დამუშავებული მინა ბოლო წლებში საიმპორტო სასაქონლო ჯგუფში ლიდერობას ინარჩუნებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო უმჯობესდება საინვესტიციო გარემო, იზრდება

უცხოური ინვესტიციების მოცულობა, ირანიდან ინვესტიციების შემოდინება არ არის სასურველ დონეზე. საქართველოსა და ირანს შორის 1995 წლის 26 სექტემბერს გაფორმდა სამთავრობო ხელშეკრულება „ინვესტიციების ურთიერთდაცვისა და წახალისების შესახებ“, რომლის ხელშეწყობითაც ირანი გარკვეულ ინვესტიციებს ანხორციელებს. საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკიდან ინვესტიციები პირველად განხორციელდა 2006 წელს. მას შემდეგ საქართველოში ირანული ინვესტიციების ოდენობამ (2018 წლის ჩათვლით) მთლიანად შეადგინა **26.76** მლნ დოლარი.

(ცხრილი 4)

საქართველოში ირანიდან შემოსული ინვესტიციების დინამიკა (2013-2019) (მლნ დოლარი)

წლები	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019*
საქართველოში შემოსული ინვესტიციების მოცულობა	1020.5	1817.7	1665.6	1565.8	1894.5	1232.4	1267.7
ირანიდან შემოსული ინვესტიციები (9 თვე)	6.99	2.14	0.58	3.65	5.5	6.7	1.3
2018 წლის 9 თვესთან შედარებით(%)	123	-69	-73	530	51	22	-69.3
წილი მთლიან ინვესტიციებში (%)	0.7	0.1	0.03	0.2	0.3	0.5	0.1

წყარო: წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. №07/3144 [2]

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 10 მარტს გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემების თანახმად, 2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1.27 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით, 0.2%-ით მეტია. წინასწარი მონაცემებით, 2019 წლის სამ კვარტალში ირანიდან საქართველოში 1.3 მლნ დოლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა, რაც 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში შემოსულ ინვესტიციებთან (3.9 მლნ დოლარი) შედარებით 69.3%-ით ნაკლებია [3].

საქსტატის მონაცემების მიხედვით, გასული წლის 9 თვეში ირანელი ინვესტორებისთვის ყველაზე მიმზიდველი სამშენებლო და უძრავი ქონების სექტორი იყო, სადაც შესაბამისად 634.4 ათასი დოლარის და 203.8 ათასი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა. ინვესტიციების შემოდინება დაფიქსირდა ასევე დამამუშავებელი მრეწველობის სექტორში - 7.0 ათასი დოლარი. ვაჭრობის, განათლების, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების სექტორებში ჯამში ქვეყანაში

შემოსული პირდაპირი ირანული ინვესტიციის მოცულობამ 1.293 მლნ დოლარამდე შეადგინა.

საქართველოსა და ირანს შორის ხელმოწერილია 30-ზე მეტი სახის მთავრობათაშორისი და უწყებათაშორისი შეთანხმება. მათ შორის ისეთი ეკონომიკური ხასიათის შეთანხმებები, როგორცაა სავაჭრო თანამშრომლობის შესახებ (ძალაშია 2007 წლის 12 მარტიდან), სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ (1993 წლის 20 იანვარი), მგზავრთა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების შესახებ (ძალაშია 1998 წლის 7 ოქტომბრიდან), ინვესტიციების ურთიერთდაცვისა და წახალისების შესახებ (ხელმოწერილია 1995 წლის 26 სექტემბერს) და სხვა.

როგორც ჩანს, საქართველო-ირანის ისლამურ რესპუბლიკას შორის სავაჭრო ურთიერთობების მასშტაბები თანდათანობით იზრდება. თუმცა ეს ურთიერთობები ეკონომიკურ ასპექტში არ არის სათანადოდ განვითარებული.

ლიტერატურა/REFERENCES

- [1] ლ.კოჭლამაზაშვილი, თ. ყანდაშვილი. (2015) „საქართველოს და ირანის ეკონომიკური ურთიერთობები“. საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო კონფერენციის შრომების კრებული;
- [2] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მასალები, <http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s> [ბოლო ნახვა 21 თებერვალი, 2020];
- [3] <https://civil.ge/ka/archives/341729>

JEL: M12, M50

DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.7.1.2020.46-51>

ადამიანური რესურსების მართვის ტენდენციები, გამოწვევები და ორიენტირები

ეკატერინე გულუა

ეკონომიკის დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ-
პროფესორი
თბილისი, საქართველო
E-mail: ekaterine.gulua@tsu.ge
<https://orcid.org/0000-0001-9484-093X>

შემოსულია რედაქციაში:

მარტი, 2020

რეცენზირებულია:

მარტი, 2020

გლობალური პროცესებითა და ცვლილებებით გამოწვეული ტენდენციები ეკონომიკური სუბიექტების მენეჯმენტისთვის ახალ შესაძლებლობებთან ერთად, წარმოქმნილი გამოწვევების გათვალისწინების აუცილებლობას ქმნის. ნაშრომში განხილულია ადამიანური რესურსების მართვის ძირითადი პარადიგმები, მიმდინარე გლობალური ტენდენციები და გამოწვევები. შესაძლოა, კოვიდ 19-ის გავრცელებით გამოწვეული გლობალური პანდემიის პირობებში მომავლის პროგნოზირება საკმაოდ რთულია, თუმცა ცხადია, ბევრი კომპანიისთვის გადარჩენის ერთადერთი გზა პროცესების გაციფრულებაზე გადის. არსებული ქაოსური გარემო ადამიანური რესურსების მენეჯერების მხრიდან მოითხოვს სწრაფ ადაპტირებას ახალ გამოწვევებთან, როგორცაა: თანამშრომლებთან ონლაინ ურთიერთობები, პროცესების ონლაინ წარმართვა, კონტროლის ახალი მექანიზმები, თანამშრომელთა დათხოვნის, შენარჩუნების და შერჩევის საჭიროებებთან გამკლავება. ადამიანებში ვირტუალური ურთიერთობების საფუძველზე ისეთი ტალანტების დეკოდირება, როგორცაა: ადაპტაციის უნარი, ლატერალური აზროვნება, სისხარტე. ეს არის დრო, როდესაც განსაკუთრებით ფასეული გახდა მცოდნე და ცვალებად გარემოსთან ადაპტირებადი ადამიანური რესურსები. როგორც არასდროს აქტუალურია ორგანიზაციის შედეგებში წვლილის პროპორციული სტიმულირების მექანიზმების ამოქმედება. ნაშრომში შესწავლილია საქართველოს მდგომარეობა გლობალური ინდიკატორების რაკურსით, აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვის პრიორიტეტები და ორიენტირები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ორგანიზაციების კონკურენტუნარიან ოპერირებაში. ნაშრომი აგრეთვე ეფუძნება ავტორის ადრეულ კვლევებს.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური რესურსების მენეჯმენტის (არმ) ტენდენციები, არმ-ის გამოწვევები; არმ-ის განვითარების ორიენტირები, არმ-ის სტრატეგიები გლობალურ, მიკრო და მაკრო დონეზე.

JEL: M12, M50

DOI: <https://doi.org/10.46361/2449-2604.7.1.2020.46-51>

Ekaterine Gulua

PhD in Economics, Assistant
Professor, TSU,
Tbilisi, Georgia

E-mail: ekaterine.gulua@tsu.ge

<https://orcid.org/0000-0001-9484-093X>

TRENDS, CHALLENGES AND ORIENTATIONS OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT

Trends caused by global processes and changes, along with new opportunities for management, create the need to envisage the challenges that arise. The paper discusses the main paradigms of human resource management, current global trends and challenges; It is quite difficult to predict the future in the context of the global pandemic caused by the spread of Covid 19, although it is clear that the only way for many companies to survive is to digitalize processes. The current chaotic environment from human resource managers requires to adapt quickly to new challenges, such as: working with employees online, managing processes online, new control mechanisms, dealing with employee dismissal, retention, and selection needs; Decoding such talents as adaptability, lateral thinking, and agility based on virtual relationships in humans. This is a time when it is especially valuable to have knowledgeable and adaptable staff. As never before, the implementation of proportional incentive mechanisms of contribution to the results of the organization is actual. The paper examines the situation in Georgia from the perspective of global indicators, as well as priorities and orientations, the consideration of which will play an important role in the competitive operating of business organizations.

Edited by:

March, 2020


Reviewed by:

March, 2020

Keywords: Human Resource Management Trends, HRM Challenges, HRM development Orientations, HRM Strategies on Global, Macro and Micro Level

ადამიანის, როგორც მართვის ობიექტის როლი კაცობრიობის დასაბამიდან იცვლებოდა მკვეთრი სისასტიკიდან ღრმა მორალურობამდე (ადამიანი – შრომის იარაღი, საქონელი (ყიდვა–გაყიდვის ობიექტი); სამუშაო ძალა; რესურსი; კაპიტალი; პარტნიორი), თუმცა ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით, რომ თანამედროვე სამყაროში აღმოფხვრილია ადამიანის მართვის არაცივილიზებული მეთოდები და ფორმები. დოქტორი უილიამ გელარი (William Guillory) [1] “Innovations Internation-

al, Inc.”-ის პრეზიდენტი გლობალური ბიზნესის (და სოციალურ) პარადიგმებს [2] წარმოადგენს სქემის სახით (იხ. სქემა 1) და განმარტავს, რომ ახალი ეტაპის დასაწყისი ერთმნიშვნელოვნად არ გულისხმობს წინა ეტაპის დასასრულს, ადრეული ტენდენციების დაკნინებას, არამედ ყოველი მომდევნო პარადიგმა თავის თავში აგრეთვე გულისხმობს და მოიცავს ყველა წინა ტრენდს, რომელთაგან თითოეულმა სხვადასხვა ეტაპზე შესაძლოა განიცადოს ახლებური აქტუალიზაცია [3].



სქემა 1. გლობალური ბიზნეს (და სოციალური) პარადიგმები

თავდაპირველი დომინირებადი პარადიგმები – ნადირობიდან, აგრარულ ერამდე და ინდუსტრიალიზაციამდე – კაცობრიობის განვითარების ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს – დასაბამიდან მეჩვიდმეტე საუკუნემდე. ინდუსტრიულ ერას საფუძველი ჩაეყარა ძრავის და მანქანური წარმოების განვითარებასთან ერთად. მე-20 საუკუნის 50-ანი წლებიდან დაიწყო ახალი ტენდენციის ჩამოყალიბება, რაც გამოიხატა ადამიანის საქმიანობის ფორმების და პრიორიტეტების ცვლილებაში. ჩამოყალიბდა საინფორმაციო (პოსტინდუსტრიული) საზოგადოება, რომლის ძირითადი საქმიანობის შინაარსი უკავშირდებოდა განსაკუთრებით მომსახურების სფეროს – კერძოდ, ინფორმაციის წარმოებას, დაცვას, გადამუშავებას და რეალიზაციას. პრიორიტეტული გახდა ინფორმაციის მენეჯმენტი. ამ ერამ განაპირობა ინფორმაციის ნაკადების უკიდურესი ზრდა და მისი სელექციის პრობლემა, გაიზარდა მარჯა ინფორმაცი-

ასა და ცოდნას შორის. მე-20 საუკუნის 90-ანი წლებიდან აქტუალური გახდა ცოდნის მიღება, გავრცელება და გამოყენება. ცოდნა უკვე აღარ აღიქმება, როგორც ინფორმაციის ფლობა, არამედ, როგორც მისი ანალიზის და გამოყენების – რეალიზების უნარი. ცოდნის პრიორიტეტულობამ აქტუალური გახდა ტერმინები: მცოდნე/ცოდნის საზოგადოება (Knowledge Society, Knowledgeable Society) – საზოგადოება რომლისთვისაც ცოდნა ფასეულია Knowledge Value Society).

21-ე საუკუნეში საზოგადოებისთვის აქტუალური გახდა იდეოლოგიის, ფასეულობათა სისტემის ფორმირება, რათა ადამიანებს გაიოლებოდათ ურთიერთობები, მიეღწიათ თანხმობისთვის ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე, რომლის მთავარ ღირებულებას წარმოადგენს ადამიანი, მისი უფლებები და თავისუფლება, მორალი და ეთიკური პრინციპები. ეს ტენდენცია, რა თქმა უნდა, 21-ე

საუკუნეში არ ჩასახულა, უბრალოდ გლობალური მასშტაბით გახდა აქტუალური. შესაბამისად, წამოიწია იდეოლოგიამ და იდეოლოგებმა, ნებისმიერ დონეზე (ინდივიდი, ორგანიზაცია, საზოგადოება, ქვეყანა). ამ ეტაპმა კარგი საფუძველი მისცა თანამშრომლობის, ადამიანურ ურთიერთობათა ფორმების მეცნიერულ შესწავლას და მათი პრაქტიკაში ცნობიერი დანერგვის გაუმჯობესებას. შესაბამისად, ჩამოყალიბდა კავშირებზე დამყარებული ერა.

მიმდინარე საუკუნეში პოტენციალის, ტალანტების გამოვლენის, წახალისების, რეალიზების საშუალებები აქტიური კვლევის ფაზაშია. ადამიანური კაპიტალის მართვის პრიორიტეტებიდან ნიჭის, ტალანტების გამოვლენის და ხელშეწყობის მექანიზმები მეცნიერულად მეტად დახვეწილი და დასაბუთებულია, ვიდრე პოტენციალის მართვის მიმართულება. თუმცა, რადგან ინდივიდისთვის უფრო მნიშვნელოვანია საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა – ტრანსცენდენტული „მე“-ს მიღწევა, ვიდრე მხოლოდ კონკრეტული ტალანტის რეალიზება, მეცნიერები, პრაქტიკოსი მენეჯერები ცდილობენ წინ წავიდნენ ამ მიმართულებით, რაც საფუძველს შექმნის ინდივიდების, გუნდების, ორგანიზაციების და საბოლოოდ ქვეყნების და სამყაროს გაუმჯობესებასა და განვითარებისთვის.


მიმდინარე ტენდენცია, რომელიც ადამიანების მართვისადმი დამოკიდებულებების ცვლილებებში შეინიშნება, არის ის, რომ განსაკუთრებით იგრძნობა ადამიანების კოოპერირების აუცილებლობა. ინდივიდი შედეგებისგან შორსაა სხვა ადამიანებთან გაერთიანების უნარის გარეშე. ერთობლივი აქტივობების შედეგად შესაძლებელია მეტი ეფექტის მიღება ვიდრე – ცალკე. რაც გულისხმობს, რომ გუნდის (ორგანიზაციის) წევრების ინდივიდუალური შედეგების მექანიკურ ჯამს აღემატება გუნდის (ორგანიზაციის) შედეგები. ეს ნამეტო ეფექტი არის სინერგიული, ერთიანობის, ანუ ორგანიზებულობის ეფექტი. მიმდინარე ტენდენციებით გამოკვეთილია, რომ ორგანიზაცია უნდა ჩამოყალიბდეს, როგორც სინერგიული სისტემა, სადაც ადამიანები იქნებიან მეტად შედეგიანები, ვიდრე იქნებოდნენ სისტემის გარეშე. ეს მიიღწევა ურთიერთდახმარების, მხარდაჭერის, სპეციალიზაციის, ცოდნის გაზიარების, ორგანიზაციის ავტორიტეტის გამოყენების, სწორი მენეჯმენტის ხარჯზე.

გლობალური პარადიგმები გვიჩვენებენ ზოგად აქტუალურ საკითხებს, მაგრამ ამა-

სთან ერთად პერიოდულად აქტიურდება სხვადასხვა თვისებრივი ტენდენციები, ლოკალური ბაზრების თუ რეგიონების მიხედვით. ორგანიზაციებისთვის კი აუცილებელია მათი გათვალისწინება კონკურენტუნარიანობის შესანარჩუნებლად. ორგანიზაციის მენეჯმენტის და მეცნიერული კვლევების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია კონტექსტების გათვალისწინება, რომელიც აქტუალურია თანამედროვე სამყაროში და ტენდენციების გაცნობიერება, რომელიც სახელდება სფეროს ექსპერტების მიერ.

ორგანიზაციაში დასაქმებულთა მართვის ფუნქცია სხვადასხვა თვისებრიობას იძენს. თავდაპირველად ის აღიქმებოდა, როგორც შრომისა და სამუშაო ძალის მართვა, ფოკუსში იყო შრომის ნორმირება და ხარჯთეფექტურობა, რაც ტეილორიზმის გავლენით აიხსნება. თუ ადმინისტრაციულმა, კლასიკურმა სკოლამ მმართველობითი შრომის თვისებათა მეცნიერულ შესწავლას და მის მოწესრიგებას შეუწყო ხელი, ადამიანური ურთიერთობების მართვის სკოლამ საფუძველი შექმნა ადამიანების მართვისადმი ჰუმანური მიდგომების დანერგვისთვის, ჩამოყალიბდა ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, დაინერგა და დაიხვეწა მართვის სრული ციკლი შერჩევიდან გათავისუფლებამდე ორგანიზაციის ადამიანური რესურსებით უწყვეტი უზრუნველყოფისთვის. (იხილეთ სქემა 2¹. ორგანიზაციაში ადამიანის მართვის პრიორიტეტები).

¹ სქემა შედგენილია ავტორის მიერ, წყაროების ანალიზის საფუძველზე



სქემა 2. ორგანიზაციაში ადამიანის მართვის პრიორიტეტები

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან, გრძელვადიანი განვითარების აქტუალიზაციიდან გამომდინარე, ადამიანისადმი, როგორც კაპიტალისადმი დამოკიდებულება გაახლდა და განსაკუთრებით პრიორიტეტული გახდა [4]. ამ შემთხვევაში შეფასების ობიექტია ორგანიზაციის მხრიდან ადამიანში ჩადებული ინვესტიციის უკუგება და თუ როგორ აქვს პიროვნებას ჩართული ორგანიზაციის შესაძლებლობების გაუმჯობესებაში თავისი ცოდნა, უნარები, შემოქმედებითობა, ტალანტები, შესაძლებლობები და რამდენად მნიშვნელოვანია ეს წვლილი სასურველი შედეგების მისაღწევად. ფოკუსირება ხდება ორგანიზაციაში ტალანტების მოზიდვასა და შენარჩუნებაზე, მათი შესაძლებლობების რეალიზებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე. მკვლევრები ხედავენ პირდაპირ კორელაციას ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობასა და მისი ადამიანური კაპიტალის მართვის ეფექტიანობას შორის. ჩეცკელმა (Chatzkel) [5] ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ ადამიანური კაპიტალი „არის ორგანიზაციების ერთმანეთისგან განმასხვავებელი და კონკურენტული უპირატესობის ფაქტიური საფუძველი.“

ბარონის (Angela Baron) და არმსტრონგის (Michael Armstrong) [6] მიერ ადამიანური კაპიტალი განმარტებულია, როგორც – ცოდნა, უნარ-ჩვევები, გამოცდილება, კომპეტენცია, პოტენციალი, შესაძლებლობა განავითარო და ფლობდე ინოვაციებს ადამიანების მიერ ორგანიზაციაში. **ჯექსონი (Jackson) და შულერი (Schuler)** ყურადღებას ამახვილებენ ადამიანური კაპიტალის შექმნის აუცილებლობაზე: „ორგანიზაციამ შესაძლებელია გამოიყენოს ადამი-

ანური რესურსების მართვის მრავალგვარი გზა, რათა გააუმჯობესოს ორგანიზაციის ადამიანური კაპიტალი. მაგ: მათ შეუძლიათ იყიდონ ადამიანური კაპიტალი ბაზარზე (ანაზღაურების პაკეტი), ან შექმნან ის შიგნით (ტრენინგი, განვითარება)“ [7]. ადამიანური კაპიტალის მართვის თეორიებში აქცენტი სწავლება-სა და განვითარებაზეა ხარჯისა და შედეგის თანაფარდობის ანალიზის საფუძველზე; ორგანიზაციების შესაძლებლობების გაფართოების მთავარ რესურსად მიიჩნევა ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესება პიროვნული ტალანტების, პოტენციალის გამოვლენის, განვითარების და რეალიზების ხელშეწყობით.

აშშ-ში, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის სა-მოციან წლებში, აღიარეს ტალანტების მართვის მიმართულებით ჩამორჩენილობა ჩინეთთან შედარებით და ის გახდა აშშ-ის განვითარების სტრატეგიის ნაწილი [8]. ტალანტების იდენტიფიცირებისადმი მეცნიერული მიდგომები პირველად მაკ კინონმა (MacKinnon) გამოიყენა 1960 წელს, შემდეგ კი ამ მიმართულებით გამოქვეყნდა ჰოლანდის და ასტინის (Holland, Astin1962); ჰოიტის (Hoyt 1966), ჰოლანდის და რიჩარდის (Holland and Richards 1965-1967), ჰოლანდის, რიჩარდის და ლუტსის (Holland, Richards and Lutz (1967), ვერცის (Werts (1967), ვალაჰის და ვინგის (Wallach and Wing (1969) ნაშრომები. აშშ-ში მეოცე საუკუნის 70-ან წლებში, ადამიანური რესურსების განვითარებასა და ორგანიზაციის ეფექტიანობის კავშირი მეცნიერული კვლევების საფუძველზე დაადასტურა ედგარ შეინმა (Schein). თემა განსაკუთრებით პოპულარული გახდა მაკკინზი და კომპანის (MacKinsey&Company)

მიერ 1997 წელს ჩატარებული კვლევის („ბრძოლა ტალანტებისთვის“) საფუძველზე [9]. თანამედროვე მეცნიერული კვლევებიდან გამოირჩევა ვეიმანის (Vlad Vaiman) სკულიონის, (Hugh Scullion) კოლინზის (David Collings) შრომები. თემას ეძღვნება საუკეთესო საკონსულტაციო კომპანიების: „ბეინ და კომპანიის“ (Bain&Company), „მაკ კინზი და კომპანიის“ (MacKinsey&Company), „ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის“ (Boston Consulting Group), ასეულობით ნაშრომი. დღეისათვის ამ მიმართულებით ცნობილი ნაშრომებია: სკულიონის და კოლინზის (Scullion & Collings) „გლობალური ტალანტ მენეჯმენტი“, შვაიერის (Schweyer) „ტალანტ მენეჯმენტის სისტემები“, მაკკინზი და კომპანიის (MacKinsey&Company) „ახალი ბრძოლა ტალანტებისთვის“, ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის (Boston Consulting Group): „არა ბრძოლა, არამედ ტალანტების შექმნა“ [10], „ტალანტების დეკოდირება“, და ა.შ. ზემოთ აღნიშნული მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რომლის გაცნობა და დანერგვა საქართველოს რეალობაში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს, როგორც ინდივიდების პირად განვითარებაზე და ორგანიზაციაში შრომის შედეგების გაუმჯობესებაზე, ასევე შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესებაზე.

საინტერესოა, აგრეთვე ისიც, რომ რესურსული მიდგომის მომხრეებმა კონტექსტიდან გამომდინარე შექმნეს ადამიანური რესურსების მენეჯმენტის თანამედროვე გაგება. ბოქსალმა (Boxall) [11] ის განმარტა, როგორც შრომისა და ადამიანების მართვა ორგანიზაციაში. **არმსტრონგი (Michael Armstrong)** მასში მოიაზრებს: ადამიანური კაპიტალის მენეჯმენტის, ცოდნის მენეჯმენტის, ორგანიზაციის დიზაინისა და განვითარების, ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის (სამუშაო ადგილის დაგეგმვა, შერჩევა, ტალანტების მართვა), დასაქმებულთა მიღწევების (performance) მართვას, სწავლასა და განვითარებას, დაჯილდოვების მართვას, ურთიერთობების მართვასა და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვას [12] საინტერესოა ისიც, რომ ადამიანური რესურსების მენეჯმენტის და სტრატეგიული მენეჯმენტის სინთეზის საფუძველზე ჩამოყალიბდა სასწავლო დისციპლინა – ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა. ეს იდეა ეკუთვნოდათ რაითსა (**Wright**) და მეკმეანს (**McMahon**) (1992) შემდეგ კი განავითარა **ბოქსალმა (Boxall)**. რესურსული მიდგომის მომხრეები თანხმდებიან, რომ ადამიანი ორგანიზაციის

სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რესურსია, რადგან ის იძლევა კონკურენტუპირატესობას და მიიჩნევენ, რომ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა უნდა იყოს ინტეგრირებული ორგანიზაციის ბიზნეს სტრატეგიაში. ცხადია, რესურსული მიდგომის მომხრეები ინარჩუნებენ პოზიციებს, პასუხობენ თანამედროვე გამოწვევებს, აფართოებენ კვლევის და მოქმედების არეალს მიუხედავად იმისა, რომ მათი კონცეფცია მრავალგზის გახდა კრიტიკის ობიექტი, განსაკუთრებით იმათი მხრიდან, ვინც ადამიანის რესურსად აღქმის წინააღმდეგია და ემხრობიან დასახელებებს: „ადამიანის მართვა“ (people management), ან „დასაქმების მართვა“ (employment management) [13].

ოქსფორდის სახელმძღვანელო [14] ადამიანური რესურსების მენეჯმენტს მოიაზრებს სამი დომენის ქვეშ. ესენია: მიკრო ადამიანური რესურსების მანეჯმენტი, სტრატეგიული ადამიანური რესურსების მენეჯმენტი და საერთაშორისო ადამიანური რესურსების მენეჯმენტი.

ა) მიკრო ადამიანური რესურსების მენეჯმენტი (**'MHRM'**) მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის ფუნქციებს, თუმცა ნაკლებად არის გადატვირთული ფსიქოლოგიური კონცეფციებით და უფრო მეტად უკავშირდება ინდუსტრიულ სოციოლოგიასა და სამრეწველო ურთიერთობებს. უპირატესად ითვალისწინებს ადგილობრივ კანონებს, ადათებს, ორგანიზაციებსა და ბაზრებს. ამ მიმართულებით გამოცემული სახელმძღვანელოების ფართო სპექტრი ემსახურება ამ ტიპის საჭიროებას.

ბ) ადამიანური რესურსების სტრატეგიული მენეჯმენტი (**'SHRM'**) ორიენტირებულია ადამიანური რესურსების მართვაზე ფართო კონტექსტუალური ფონის გათვალისწინებით და ხიდის როლს ასრულებს ადამიანური რესურსების მენეჯმენტსა და სტრატეგიულ მენეჯმენტს შორის. ის ჩართულია, როგორც ბიზნეს ერთეულების და მთლიანი ორგანიზაციის სტრატეგიული მართვის ელემენტი.

გ) საერთაშორისო ადამიანური რესურსების მართვა (**'IHRM'**) მოიაზრებს ადამიანური რესურსების მართვის და ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვის ფუნქციების ადაპტირებას კომპანიებისთვის, რომლებიც ოპერირებენ საერთაშორისო მასშტაბით, განსხვავებული ქვეყნების მრავალფეროვან სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტებში.

სამივე დომენი ვითარდება პარალელურად. მიუხედავად დამოუკიდებელი სიღრმისეული სპეციალიზაციისა მათ შორის კავშირები მეტად ღრმა და მჭიდრო ხდება.

ადამიანური რესურსების მენეჯმენტი გლობალიზაციის პირობებში ახალ თვისებრიობას იძენს. თუ ადრე მასში მოიაზრებოდა ადამიანური რესურსების მოზიდვა, შერჩევა, სწავლება, შეფასება, ანაზღაურება კანონით და შიგაორგანიზაციული პროცედურებით განსაზღვრულ ფარგლებში, დღეს ადამიანური რესურსების მენეჯმენტი მოიცავს აგრეთვე ორგანიზაციის თანმიმდევრულ, ბიზნეს პროცესების უწყვეტობის დაგეგმვას, სამუშაო ძალის მრავალფეროვნების, ურთიერთობების, თანამშრომლობის დაგეგმვას, შერწყმისა და შთანთქმის გარკვეულ ასპექტებს. ორგანიზაციაში დასაქმებულთა მართვის სტრატეგიების თვისებრივი ცვლილებები განპირობებულია ბიზნეს-ურთიერთობების შინაარსის ცვლილებებით. **რობერტ მირტი (Robert c. Myrtle)**, სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი, ზოგადი გლობალური ტენდენციებიდან ასახელებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანური რესურსების მართვის მიმდინარე პრიორიტეტებზე [15]. - პოლიტიკური ფაქტორებიდან მის მიერ სახელდება: გაზრდილი მოთხოვნა გამჭვირვალობაზე, სამუშაო ძალის გაბნევა ეროვნულ საზღვრებს მიღმა; განვითარებულ და განვითარებადი ქვეყნების სამუშაო ძალებს შორის განსხვავების მინიმიზაცია, არასახელმწიფო აქტორების გაზრდილი ძალა. - ადამიანური რესურსების მართვაზე მოქმედი ეკონომიკური ტენდენციებია: მთავრობის მზარდი როლი ეკონომიკურ ზრდაში, მდიდარი და ღარიბი მოსახლეობის პოლარიზაცია; სახელმწიფო ვალისა და მშპ-ს თანაფარდობის სწრაფი ზრდის ტენდენცია; საინვესტიციო ფონდების მზარდი არასტაბილურობა, სახელმწიფო კაპიტალიზმის ზრდა; - სოციალური ტენდენციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანური რესურსების მართვაზე არის: საერთაშორისო და შიგა მიგრაცია; ზრდადი ურთიერთობები ადამიანებს, საგოგადოებებს, ორგანიზაციებს შორის, ოჯახის სტრუქტურის ცვლილება; ქალის გაზრდილი როლი და ძალა; მოსახლეობის დაბერება, მოსახლეობის ზრდა, ზრდადი სოციალური თავისუფლება; დაჩქარებული ცხოვრების ტემპი და ურბანიზაცია. - ტექნოლოგიური ფაქტორებიდან კი აღნიშნავს:

ტექნოლოგიური ინოვაციების ზრდის მაღალ ტემპს, გენომიკს, ცხოვრების და სამუშაო სტილის „გაციფრულება“-ს; გარღვევებს ან ტრანსფორმაციებს ტექნოლოგიაში; ახალ ტექნოლოგიებს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ კავშირებში.

მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ყურადღება გამახვილდა დღეს აქტუალურ შემდეგი ტიპის შეუსაბამობებზე: უნარ-ჩვევების დეფიციტი, კვალიფიკაციის შეუსაბამობა, ზედმეტი, ან დაბალი კვალიფიკაცია სამუშაო ადგილებზე, ადამიანების უნარებს შორის განსხვავების უფსკრული; მეტი ან ნაკლებად უნარიანი პერსონალი სამუშაო ადგილებზე [35]. აღნიშნული გლობალური ვექტორების გათვალისწინება აუცილებელია ნებისმიერი კომპანიისა და ქვეყნისთვის.

მძლავრი უმუშევრობის ფონის მიუხედავად, აქტუალურია და მომავალშიც ნავარაუდევია, შრომის ბაზარზე გლობალიზაციასთან თავსებადი სამუშაო ძალის მწვავე დეფიციტი. 2030 წლისათვის აშშ-ს ბოლო ოცწლეულის ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნებისთვის დასჭირდება 26 მილიონი დამატებითი მომუშავე, ხოლო დასავლეთ ევროპას კი 46 მილიონი დამატებითი დასაქმებული [36]. განვითარებადი ქვეყნებში უმაღლეს-დამთავრებულთა დიდი უმეტესობა თავმოყრილი, შესაბამისად, ადგილი აქვს მათ მიგრაციას განვითარებულ ქვეყნებში და ეს ტენდენცია მომავალშიც იქნება აქტუალური. სამუშაო ძალის მიმწოდებლებს შორის მსოფლიო ბაზარზე დომინირებენ ინდოეთი, ჩინეთი, რუსეთი და ბრაზილია. ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარება, კომპანიების, ინდივიდების გლობალურ ქსელში ჩართვის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად აჩქარებენ ყველა ზემოაღნიშნული პროცესის აქტუალურობას, ვინაიდან, ცოდნისა და კვალიფიკაციისადმი თანამედროვე მოთხოვნებთან შეუსაბამობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, როგორც ენობრივი ბარიერის პრობლემა, ასევე პიროვნების კულტურის თავსებადობა გლობალური კომპანიის კულტურასთან. გლობალიზაცია ცვლის მოთხოვნებს პიროვნული თვისებების მიმართაც, ადამიანები მაღალ კვალიფიკაციასთან ერთად უნდა იყვნენ გლობალური კომპანიების კულტურასთან თავსებადნი, მათ უნდა შეეძლოთ თანამშრომლობა განსხვავებულ ჯგუფებთან. მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გაჟღერდა, რომ განვითარებადი სამყაროს უმ-

აღლეს განათლებულთა მხოლოდ 10-20 პროცენტია მზად მსგავსი გამოწვევებისთვის [3].

აქტუალური ტენდენციებიდან აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ: ა) ადამიანები არიან ნაკლებად ერთგულები და მიჯაჭვულები სამუშაო ადგილს, მოკლე დროში (საშუალოდ 2 წელიწადში) ბეზრდებათ სამუშაო; ინდივიდები, ტალანტები, პროფესიონალები ნაკლებად ერთვებიან „ვირთაგვების რბოლაში“ (Rat Race) - ორგანიზაციულ შეჯიბრებებში, არ იღებენ ერთგულებით კარიერული განვითარების სქემებს, ახდენენ ცხოვრების ხარჯების მინიმიზებას, არ იღებენ კრედიტებს, რათა ჰქონდეთ მეტი დამოუკიდებლობა, თავისუფლება, მეტი დრო დაუთმონ მათთვის სასიამოვნო აქტივობებს, ოჯახს. ისინი არ თანხმდებიან ზეგანაკვეთურ სამუშაოზე, ანაზღაურების მოცულობის მიუხედავად. ბ) ამავე დროს, არიან მეტად მობილურები, როგორც ეროვნული, ისე გლობალური მასშტაბით. აღნიშნული ხდება გარკვეულ უბნებში (ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში) საჭირო უნარ-ჩვევების მქონე ტალანტების დეფიციტის მიზეზი; იზრდება ვირტუალური სტრუქტურების, დემოგრაფიული და კულტურული მგრძობელობის აუცილებლობა; ლიზ ვებერი (Liz Weber) აღნიშნავს, რომ აქტუალურია ტალანტების შეკავების (პარტნიორობის გახანგრძლივების) ქმედითი მექანიზმების დანერგვის აუცილებლობა, რადგან კონკურენცია დამსაქმებლებს შორის ტალანტების მოზიდვის პროცესში საკმაოდ მწვავეა და ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ეკონომიკური განუსაზღვრელობა, კრიზისები, სამუშაოს არასტაბილურობა და ადამიანური რესურსების დაბალი ეფექტიანობა იწვევს თანამშრომელთა დროებითი დათხოვნის აუცილებლობას [16], რაც პრობლემების გამწვავების მიზეზი ხდება, ყოველი გათავისუფლებული ინდივიდის წლიური ხელფასის საშუალოდ 250%-ით მეტი ფინანსური ხარჯის გაღება

უწევს ორგანიზაციას მის ადგილზე შემცვლელის მოსაყვანად. გრძელვადიანი ურთიერთობები კი ზრდის პროფესიონალიზმს, ორგანიზაციისადმი ნდობას და საბოლოო ჯამში ეფექტიანობას [2].

„HRT“ ინსტიტუტის დამფუძნებელმა **ტომ ჰაკმა (Tom Haak)** 2014 წელს [37] ადამიანური რესურსების მართვის აქტუალური მიმართულებებიდან გამოკვეთა ორგანიზაციების იერარქიულიდან ქსელურ სისტემაზე ტრანსფორმირების აუცილებლობა, მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ორგანიზაციებს უნდა გამოევიწყინათ მზაობა ტალანტების არა მხოლოდ ლოკალური, არამედ გლობალური ბაზრებიდან მოსაზიდად, რათა მზად ყოფილიყვნენ ტექნოლოგიური განვითარების სწრაფი ტემპით გამოწვეული შესაძლებლობების მისაღებად. მან საყურადღებო ტენდენციად მიიჩნია ისიც, რომ ადამიანები უკვე აღარ მუშაობენ მხოლოდ ფულისთვის და ამიტომ ორგანიზაციებს უნდა უზრუნველყვით დასაქმებულები საინტერესო, შთამაგონებელი სამუშაოთი, შეექმნათ მათთვის სახალისო გარემო. საინტერესოა, აგრეთვე მისი მხრიდან „ბეიბი ბუმერებისა“ და „თაობა იქსის“ ჩანაცვლებისათვის მზაობაზე აუცილებლობის ხაზგასმა „თაობა იგრეკით“ და „თაობა ზეტით“, რაც თავისთავად მეტად იწვევს განუსაზღვრელი ცვლილებებისა და ექსპერიმენტების აუცილებლობით გამოწვეულ პროცესებს. აგრეთვე შესაძლებელია ტომ ჰაკის მიერ დასახელებული 2015 და 2020 წლების ადამიანური რესურსების მართვის ტენდენციების შედარება (იხილეთ ცხრილი1). საყურადღებოა, რომ 2020 წლის ტენდენციები მეტად კომპლექსური და ჰუმანისტურია.

2015 [37] წლის ტენდენციები:	2020 [38] წლის ტენდენციები:
<ul style="list-style-type: none"> • შედეგიანობის განხილვის დასასრული Josh Bersin, • ორგანიზაციული სამუშაო გრაფიკების დასასრული, • კონფიდენციალურობის მნიშვნელობის შემცირება, • „გაზიარების ეკონომიკა“ (sharing economy) შემოდის ორგანიზაციულ ცხოვრებაში, • მობილურობის აქტუალურობა, • თანმიმდევრულობის (მემკვიდრეობითობის) მართვა რეალურ დროში, 	<ul style="list-style-type: none"> • ჰოლისტიკური ადამიანური რესურსები (Tom Haak, Dave Ulrich) • ნაკლები ფოკუსირება პროცესების გაუმჯობესებაზე (Josh Bersin, Tom Haak) • სიკეთეზე ორიენტაცია (Brad Areanson, Ben Whitter, Erika Stoerkel) • სირთულის მეტად დაფასება (Dave Pollard) • ადაპტური სისტემები (Tom Haak) • ადამიანების ანალიზიდან ადამიანებისთვის ანალიზისკენ (Rob van Dijk & Tony Brugman; David Green, Melissa Kantor, and Luk Smeyers) • სწავლა მუშაობის პროცესში (Josh Bersin) • მკაცრი მიდგომა მრავალფეროვნებისა და თანაბარი შესაძლებლობებისადმი (Heike Anger; Jess Huang) • ინკლუზიური ლიდერობა (Juliet Bourke and Andrea Espedido, Katrina Marshall) • პროდუქტიულობა (Tom Haak, Jaana Remes) • ბლოკჩეინის მიღწევა (John Macey, Andrew Spence, Jackie Wiles)

<ul style="list-style-type: none"> • რობოტები სათათბირო ოთახში, • „PowerPoint“-ის დასასრული, • სათემო მენეჯმენტი (community management), 	<ul style="list-style-type: none"> • კორპორატიული და დასაქმებულთა აქტივიზმი (Aaron Chatterji and Michael Toffel, Gijts Corstens, Kaya Payseno, Craig Smith, Patrick Thibodeau)
---	---

ცხრილი 1. ადამიანური რესურსების მართვის ტენდენციები 2015 და 2020 წლებში

INSEAD-ის მიერ დასახელებული, გლობალური ტალანტების მართვის მთავარი მიმართულებები წლების მიხედვით ასე გამოიყურება:

2015-16 – ტალანტების მოზიდვა და საერთაშორისო მობილურობა (Talent Attraction and International Mobility);

2017 – ტალანტი და ტექნოლოგიები (Talent and Technology);

2018 – განსხვავებულობა და კონკურენტუნარიანობა (Diversity for Competitiveness);

2019 – მეწარმეობრივი ტალანტი და გლობალური კონკურენტუნარიანობა (Entrepreneurial Talent and Global Competitiveness)

2020 – გლობალური ტალანტი შემოქმედებითი ინტელექტის ეპოქაში (global talent in the age of artificial intelligence) [17];

საინტერესოა ადამიანური რესურსების მენეჯმენტის თვისებრიობის ანალიზი მენეჯმენტის ტენდენციებიდან გამომდინარე. **დევიდ კოლინზი** (David G. Collings) და **ჯეფრი ვუდი** (Geoffrey Wood) „ადამიანური რესურსების მართვისადმი კრიტიკულ მიდგომებში“ [18] ადამიანური რესურსებს მართვის ფუნქციათა განვითარებას განიხილავენ ბიუროკრატიულიდან პოსტბიუროკრატიულ მმართველობაზე გადასვლის აუცილებლობის კონტექტში, რომლის საფუძველსაც ქმნის არასტაბილური/დესტაბილური ჰიპერკაპიტალიზმი, რისკის ინტენსიფიკაცია, რეფლექსურობის აუცილებლობა და „დროისა და სივრცის შეკუმშვა“. პოსტბიუროკრატიული მმართველობისკენ გარდამავალ ფორმად განიხილება ჰეტერარქია [39]. (სტრუქტურათა ნაზავი), რომელიც უზრუნველყოფს კომპანიების მოქნილობას.

ვებერი ბიუროკრატიაში მიიჩნევდა საუკეთესო მართვის სისტემად, თუმცა საგულისხმოა ბიუროკრატის თეორიის მთავარი შემქმნელის მიერ გაკეთებული პროგნოზი: როცა საზოგადოების მეტი ნაწილი შეძლებს ცოდნის მიღებას და იერარქიის დაბალ და მაღალ რგოლებში მათი დონე გამოთანაბრდება, იერარქია ამოწურავს საკუთარ თავს და საჭირო გახდება მართვის სხვა უფრო დემოკრატიული ფორმების ჩამოყალიბება [19].

ორგანიზაციული კონტექსტის ორი მდგენელი ცოდნის დონე და გარემოში მიმდინარე ცვლილებები **გლასის თეორიის** მიხედვით [20] იწვევს ბიუროკრატის ჩანაცვლების აუცილებლობას გუნდური და ქსელური მართვის სისტემებით, რომლებიც თავის მხრივ, ასევე გულისხმობენ ორგანიზაციაზე მორგებულ მრავალ გარდამავალ, ან შერეული ფორმების (ჰეტერარქია) გამოყენებასაც. ბიუროკრატიული სისტემის დემოკრატიულით ჩამანაცვლებელ გარდამავალ ფორმებს ვუწოდებთ პოსტბიუროკრატიულ სისტემებს. პოსტბიუროკრატიული ორგანიზაციების ადამიანური რესურსების მართვა, რა თქმა უნდა, ამ გავლენის ქვეშ იძენს სპეციფიკურ თვისებრიობას. ამ კონტექსტის შესაბამისია ის, თუ რა თვისებების გამოუმუშავებას უნდა უწყობდნენ ხელს ადამიანური რესურსების მენეჯერები საკუთარ თავში და დასაქმებულებში.

წამოწეულია დისკრეციის და შემოქმედებითი უნარები, კოოპერირება მენეჯერის მხრიდან დავალების გარეშე, თვითდისციპლინა, თვითგაცნობიერება, ვალდებულების შეგრძნება და თვითმოტივაცია. ორგანიზაციაში დემოკრატიზაციისკენ მიმდინარე პროცესები აუცილებელს ხდის არა უკვე არსებული წესების ზუსტ შესრულებას (ეს უკანასკნელი ბიუროკრატისთვის ცალსახა პრიორიტეტია), არამედ ორგანიზაციული ფასეულობების გათავისებას და მის საფუძველზე ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღების თავისუფლებას, იგულისხმება არასტანდარტული, შემოქმედებითი, სიტუაციაზე მორგებული არჩევანის თავისუფლება, რომელიც რა თქმა უნდა, ეფუძნება ცოდნას. შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის სისტემა უნდა უწყობდეს ხელს ავტონომიურ გუნდებს, გუნდებზე დამყარებული, პროექტებზე ორიენტირებული სისტემის გამართულობისათვის; ჰორიზონტალურ თანამშრომლობას კომუნიკაციის და გადაწყვეტილების მიღების გასაუმჯობესებლად; ლატერალურ კომუნიკაციას, მუდვი გაუმჯობესებაზე თანამშრომლების ორიენტაციას. როგორც უკვე აღვნიშნეთ ამ სისტემის სიჯანსაღეს საფუძველად უნდა დაედოს ორგანიზაციის მძლავრი ფასეულობათა სისტემა,

ორგანიზაციული ეთიკა და ჯანსაღი კულტურა. ცოდნის სათანადო დონე კი ამ სისტემაზე ორიენტაციის მთავარი პირობაა.

ტომ ჰაკის (Tom Haak) მიერ, ადამიანური რესურსების მართვის ტენდენციებს შორის დაასახელდა [40]. ორგანიზაციული სამუშაო გრაფიკების დასასრული, კონფიდენციალურობის მნიშვნელობის შემცირება, გაზიარების ეკონომიკის დანერგვა ორგანიზაციულ ცხოვრებაში, მობილურობის აქტუალურობა, უწყვეტობის (მემკვიდრეობითობის) მართვა რეალურ დროში, „რობოტები სათათბირო ოთახში“, ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის თანამედროვე მეთოდების გამოყენების აქტუალურობა. 2018 წელსაც აქტუალურია **დეივ ულრიხის (Dave Ulrich)** მიერ შემოთავაზებული სტრატეგიული პარტნიორობის კონცეფცია, რაც გულისხმობს დასაქმებულთა ინდივიდუალური ინტერესების გაგებას და მხარდაჭერის აუცილებლობას განვითარებისა და ბაზრებზე კონკურენტუპირატესობისთვის [21].

2019 წელს, ადამიანური რესურსების მართვის გრძელვადიანი მეგა ტრენდებიდან **ტომ ჰაკმა (Tom Haak)** [41] დაასახელა გადასვლა:

- კოლექტიურიდან – პერსონალიზებულ მიდგომაზე;
- სასურველი ტექნოლოგიებიდან – ტრანზფორმაციულ ტექნოლოგიებზე;
- ნელიდან – სწრაფ განვითარებაზე;
- ცრურწმენებსა და მიკერძოებაზე დაფუძნებული საქმიანობიდან – მყარ მტ-


კიცებულებებზე და ანალიზზე დაფუძნებულ მუშაობაზე;

- ხისტი იერარქიული ორგანიზაციიდან – ღია, გამჭვირვალე ქსელურ ორგანიზაციებზე;
- დიდი გრძელვადიანი მიზნებიდან – სწრაფ, მოქნილ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებულ ექსპერიმენტებზე;
- ხელმძღვანელის სიამოვნებაზე ორიენტაციიდან – თანამშრომელთა გონივრული გამოცდილების შექმნაზე;
- ადამიანური რესურსების ოპერაციების მნიშვნელობის ზრდაზე.

ზემოაღნიშნული ტენდენციები კავშირშია მაღალი რისკის ალბათობის ზრდასთან და ზოგადად, გაურკვევლობის მაღალ დონესთან, რაც ზრდის ორგანიზაციებისადმი მოთხოვნას სისწრაფესა და მოქნილობაზე. ამასთან, საზოგადოების აქტივობა აიძულებს ორგანიზაციებს იგრძნონ ეკოლოგიური და სოციალური პასუხისმგებლობა, ჰქონდეთ ადეკვატური რეაქციები ეკონომიკურ და სოციალურ დისბალანსზე [15].

გლობალური ტენდენციები, დასაქმებულთა მართვის თანამედროვე დეტერმინანტები და ტენდენციები აყალიბებს გამოწვევებს, ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით, რომელთა გათვალისწინება ორგანიზაციების წარმატების განმსაზღვრელია.

დეტნერმა (Dattner Ben) და **როზენბერგმა (Rothenberg Emily)** ადამიანური რესურსების მართვაზე მოქმედი ტენდენციები, არსებული გამოწვევები და ტრანსფორმაციის მიმართულებები ჩამოაყალიბეს სქემის სახით (იხ. სქემა 3) [22].



სქემა 3. ტენდენციები, გამოწვევები და ტრანსფორმაციის მიმართულებები

ადამიანების მართვის ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის მიერ დასახელდა ადამიანური რესურსების მართვის 10 მთავარი გამოწვევა. ესენია: ლიდერობის განვითარება, ორგანიზაციის ეფექტიანობა, ცვლილებათა მენეჯმენტი, ანაზღაურება, ჯანდაცვა და უსაფრთხოება, პერსონალის შენარჩუნება, სწავლა და განვითარება, მექვიდრეობითობის/თანმიმდევრულობის დაგეგმვა, კადრების შერჩევა და ორგანიზაციის კვალიფიციური სამუშაო ძალით უზრუნველყოფა [16]. დასახელებული გამოწვევების გააზრება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს ორგანიზაცია (World Federation of People Management Association (WFPMA) [42] აერთიანებს: აფრიკის ადამიანური რესურსების კონფედერაციას (African Human Resources Confederation (AHRC), აზია-წყნარი ოკეანეთის ადამიანური რესურსების მართვის ფედერაციას (Asia Pacific Federation of Human Resource Management – (APFHRM), ადამიანების მართვის ევროპის ასოციაციას European Association for People Management (EAPM), ადამიანური რესურსების მართვის ინტერამერიკული ფედერაციას (Interamerican Federation of Human Resource Management (FIDAGH), ჩრდილოეთ ამერიკის ადამიანური რესურსების მართვის ასოციაციას (North American Human Resource Management Association (NAHRMA), აგრეთვე 90-ზე მეტ ნაციონალურ პერსონალის (და-სა-ქმ-ებ-

ულთა) ასოციაციას და აქვს შესაძლებლობა დააკვირდეს ტენდენციებს გლობალური მასშტაბით.

ლიზ ვებერი (Liz Weber) მთავარ გამოწვევად აღიქვამს თანამშრომელთა დროებითი დათხოვნის აუცილებლობას, რაც განპირობებულია ეკონომიკური განუსაზღვრელობით, სამუშაოს არასტაბილურობით და ადამიანური რესურსების დაბალი ეფექტიანობით [16].

რობინსი (Decenzo Robins) და დესლერი (Gary Dessler) [23],[24] ადამიანური რესურსების მართვის გამოწვევებად მიიჩნევენ: ტექნოლოგიებს, ინტერნეტ-კომერციას, სამუშაო ძალის მრავალფეროვნებას და გლობალიზაციას, ორგანიზაციის ეთიკურ პასუხისმგებლობას, რომელიც პირდაპირ, ან ირიბ გავლენას ახდენს ორგანიზაციის კონკურენტუპირა-ტესობაზე. ა) ტექნოლოგიებში გულისხმობენ ადამიანური რესურსების განვითარების და შენარჩუნების სტრატეგიებს. ბ) ელექტრონული კომერციის განვითარება ორგანიზაციის ადამიანური რესურსების მენეჯერებს აყენებს გამოწვევის წინაშე ჩამოყალიბონ ახალი უნარჩვევების მქონე პერსონალი, რომლებიც იმუშავენ ონლაინ რეჟიმში და შექმნან მათი შრომის ნორმირებისა და კონტროლის ახალი სისტემები. გ) სამუშაო ძალის მრავალფეროვნებასთან და გლობალიზაციასთან გამკლავება ნიშნავს განსხვავებული წარმომავლობის უნარ-

ჩვევების, ტრადიციების, რასის, სქესის ინდივიდებთან განსხვავებულ სამუშაო რეჟიმში ეფექტურად მუშაობის აუცილებლობას, აგრეთვე, ეთიკური მართვის პრინციპების გათვალისწინებას. აუცილებელია, დამსაქმებლის ეთიკური ნორმების და თითოეული დასაქმებულის ემოციური თანხვედრის მართვა. ეს საფუძვლად უნდა დაედოს, როგორც დასაქმებულთა ტალანტების, მათი პოტენციალის გამოვლენას და მიმართვას ორგანიზაციული მიზნებისკენ, აგრეთვე ურთიერთ მხარდაჭერას და პერსონალის ერთიანობის მართვას, რაც თანამედროვე მენეჯმენტის უმთავრესი გამოწვევაა [25].

გლობალიზაციის ტემპიდან გამომდინარე, მწვავედ შეიგრძნობა ის გამოწვევები, რომელიც უპირველეს ყოვლისა მმართველი პერსონალის წინაშე არსებობს კომპეტენციის, ცოდნის მიმართულებით. არსებულ საჭიროებებს მცირე კომპანიები ხშირ შემთხვევაში აუტოსორსინგის საშუალებით უმკლავდებიან, კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვის ფუნქციების შესრულებას უკვეთავენ გამოცდილ, საკონსულტაციო კომპანიებს, რათა თავი დაიზღვიონ კრიტიკული შეცდომებისგან [26]. მსხვილი კომპანიები ადამიანური რესურსების მართვის პრიორიტეტად მიიჩნევენ არა სიცოცხლის მანძილზე დასაქმებას, რაც თვითონ ორგანიზაციის ინტერესში შედის, არამედ პერსონალის უსაფრთხოებაზე და მათ მუდმივ განვითარებაზე ზრუნვა [27], რის გარეშეც შეუძლებელია შეიძინო ერთგული მუშაკი. იპოვო ტალანტები სკოლის მერხთან, მოამზადო მისი პერსონალური განვითარების გეგმა, პიროვნება გაზარდო კომპანიის შიგნით და მოახდინო მისი ცოდნის მუდმივი განახლება, იპოვო მომავალი დასაქმებული სათანადო უნარებითა და კვალიფიკაციით, რომელიც შესაბამება კომპანიის მიმდინარე და მომავალ საჭიროებებს – არის კომპანიების უმთავრესი გამოწვევა დღეს. პერსონალის ინტეგრაცია და მომზადება, ტალანტის და პოტენციალის გათვალისწინებით, უმთავრესი პირობაა განვითარებისთვის [28].

ადამიანური რესურსების ტენდენციების ინსტიტუტმა 2018 წელს ტალანტების მართვის გამოწვევებიდან დაასახელა [43]: 1. ფოკუსირება აწმყოზე და არა მომავალზე; ღონისძიებების გატარება, რომელიც იძლევა მყისიერ შედეგებს, როგორებიცაა: საუკეთესო ტალანტების დანიშნვა საკვანძო თანამდებობებზე; ტალანტების შემაფერხებელთა – მბლო-

კავების („ბლოკერების“) გათავისუფლება დაკავებული თანამდებობებიდან; გუნდური კასუსისმგებლობის დაკისრება ახალი ბაზრების ათვისების მიმართულებებზე; 2. სტანდარტულიდან ინდივიდუალურ მიდგომებზე გადასვლა – სტანდარტული გადაწყვეტილებები იძლევა სტანდარტულ შედეგებს, მაღალი შედეგებისთვის საჭიროა ინდივიდუალური მიდგომები, რაც უფრო არასტანდარტული, მაგრამ სამართლიანი გადაწყვეტილებები მიიღება, მით უკეთეს შედეგს უნდა ელოდოს ორგანიზაცია მოკლე და გრძელვადიან პერიოდში. ადამიანური რესურსების მენეჯერის მნიშვნელოვანი გამოწვევაა იცნობდეს საკუთარ თანამშრომელს, მის მიზნებს და პოტენციალს უკეთ, ვიდრე ის იცნობს საკუთარ თავს, თანამედროვე ტექნოლოგიები კი ამის შესაძლებლობას ნამდვილად იძლევა; 3. შიდა და გარე საზღვრების გაფერმკრთალება – ეს იძლევა შესაძლებლობას ორგანიზაციის საკეთილდღეოდ ვამუშაოთ ყველა ტალანტი, რომელიც რაიმე სახის კავშირშია ჩვენს ორგანიზაციასთან, ესენია მომწოდებლები, პარტნიორები და ა.შ. 4. შედეგიანობის კონსალტინგი – აქტუალურია ინიციატივები საქმიანი და პერსონალური უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისთვის კონსალტინგური მომსახურების გაწევა ან/და მიღება; 5. ფოკუსირება გუნდებზე – მართალია აქტუალური ყოველთვის იყო ინდივიდებზე კონცენტრირებიდან გუნდებზე და ქსელებზე გადაართვა, თუმცა ნიჭიერთა გუნდური მუშაობა კვლავ მნიშვნელოვან ფოკუსირებას მოითხოვს და მომავალში მეტად საყურადღებო გახდება; 6. საქმიანი გამოცდილებების მართვა – ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია ტალანტების შესანარჩუნებლად. ორგანიზაციები, რომლებიც სასიამოვნო, ლამაზ მოგონებებთან და დღეებთან ასოცირდება მეტად ახერხებენ საუკეთესო თანამშრომლების და საუკეთესო დამსაქმებლის ბრენდინგის შენარჩუნებას; 7. ტალანტ-მენეჯმენტისადმი ორგანული მიდგომა; 8. ტალანტების ანალიზის საფუძვლების ფორმირება – თანამშრომელთა პოტენციალის შეფასება ტალანტებთან მიმართებაში განსახორციელებელი ყველა ღონისძიების საფუძველია. მიმდინარე პერიოდში ამ მეთოდის დანერგვის და გაუმჯობესების დაჩქარება მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე ყოფილა ოდესმე, რადგან ხშირად არჩევანი გასაკეთებელია მიმდინარე ურგენტულ შესაძლებლობასა და შესაძლო ნიქს შორის, ხშირად შესაფასებელია თანამშრო-

ომელთა საქმიანობაში ჩართულობის შეფასება რეალურ დროში.


არსებული გამოწვევების ფონზე მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ეფექტიანობა როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე.

ცნობილია, ქვეყნის მასშტაბით ადამიანური რესურსების მართვის მდგომარეობის არაერთი საზომი. ისინი გვიჩვენებენ ქვეყნებში ადამიანის მდგომარეობას სხვადასხვა ჭრილში. საქართველოს ადამიანური რესურსების შეფასება გლობალური ინდექსების რაკურსით მოგვცემს ობიექტური რეალობის აღქმის კარგ შესაძლებლობას. მაკროეკონომიკური პოლიტიკის მდგომარეობის შეფასება შესაძლებელია გლობალური ინდექსების მდგენელი ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე. ადამიანისადმი დამოკიდებულების კვლევის ანალიზისას მნიშვნელოვანია ინდიკატორთა გაზომვის მეთოდოლოგიის შესწავლა, რათა გამოვლინდეს ქვეყნისთვის აქტუალური მიმართულებები.

მრავალი ასეთი საზომიდან, თემის შინაარსიდან გამომდინარე, ნაშრომში შესაძლებელია დაკონკრეტდეს საქართველოს მდგომარეობა ისეთი მაჩვენებლების რაკურსით როგორცაა მაგალითად: ადამიანის განვითარების ინდექსი [Human Development Index (HDI)]; ადამიანური კაპიტალის ინდექსი (HCI); გლობალური ტალანტის კონკურენტუნარიანობის ინდექსი [Global Talent Competitiveness Index

(GTCI)]; გლობალური ტალანტის ინდექსი [Global Talent Index (GTI)]. სოციალური პროგრესის ინდექსი [Social Progress Index (SPI)] (იხილეთ დიაგრამა 1).

- გაეროს განვითარების პროგრამის მონაცემებით ადამიანის განვითარების ინდექსით [Human Development Index (HDI)] – საქართველო 2019 წლის მონაცემებით 70-ე ადგილზეა 189 ქვეყანაში [44];
- გაეროს მონაცემებით, მთლიანი ეროვნული ბედნიერების ინდექსის [Gross National Happiness Index (GNHI)] მიხედვით [45]. საქართველო 2019 წელს 119-ე ადგილზეა 156 ქვეყანას შორის [29]. მსოფლიო ბედნიერების ანგარიშის მიხედვით საქართველო [46] 2005–2008 წლებთან შედარებით დაწინაურებულ ქვეყნებს შორის 23-ე ადგილზეა. [30]
- სოციალური პროგრესის ინდექსი [Social Progress Index (SPI)] – 56-ე ადგილი 149 ქვეყანას შორის[47].
